

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# გოთაუა სსიპი



**№ 2**

სახელმწიფო გამომცემლობა - 1926 წ.

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვ.		გვ.
1. თებერვალი, —საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე—ლექსი—კ. ლ—ძე . . . . .	1	გამო—შ. ტ. . . . .	16
2. 25 თებერვალი—ერგმორისა . . . . .	2	10. ლენინს—ლექსი—შ. ქარიშხლიშვილისა . . . . .	21
3. თებერვლის 25—ლექსი ს. ე . . . . .	3	11. წინამძღოლი და სკოლის ფორპოსტი შ. კ. . . . .	”
4. არსენ ჯორჯიაშვილი (მისი ჩამოხრჩობიდან 20 წ. შესრულების გამო)—დ. თურდოსპირელის . . . . .	4	12. ლენინური კომკავშირის მიღწევები და მისი მომავალ- ური მუშაობა —საქართ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მერვე ყრილობის გამო—ფ. ფრონ—ლი . . . . .	22
5. ნორჩი პიონერი—ლექსი დ. ელიოზიშვილს . . . . .	7	13. საუბარი 1925 წლის შესახებ შ. შე—ლი . . . . .	25
6. თებერვლის ქარმა გადაირბინა—ლექსი ე. პოლუ- მორდენოვის . . . . .	”	14. 27 თებერვალი—ლექსი უ. მ ნი . . . . .	29
7. პიონერი ქიტო—პატარა მენახშირის ცხოვრები- დან უ. მ—ნი . . . . .	8	15. დეკემბრის გმირები 1825—1925 ს. ე. . . . .	30
8. მამონტების სასაფლაო—თარგმანი რუსულიდან—ნ. 10		16. გასართობი: ოთხკუთხედების ამოცნობა—ნ. ძიძი- გურის . . . . .	32
9. საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია—პიონერთა შორის მომუშავეთა რესპუბლიკანური თათბირის ყდაზე— მარტივი ფესხაცმელები, რომელიც ყველა ჩვენ- თავანს შეუძლია მოამზადოს— თარგმანი რუს. მ. ა—ძე			






# სსსკ-ში...

1926

თებერვალი

განათლების სასჯელთ კომისიისათვის სოციალური აღზრდის მთავარმართებელთა და სასჯელთ კომისიის აღმკვეთის ცენტრალური კომიტეტის...

წელიწადი 3  
№ 2



ვ. ლენინი. ი. სტალინი.

## თებერვალი.

(საქართველოს განსაზღვრების 5 წლის თავზე)

მასოვს ძველი დღეები  
სავსე სევდით, ტანჯვებით,  
შებოროკილი ხელები  
თვითმპყრობელი ჯაჭვებით.

ირგვლივ კვნესა ისმოდა  
და ზუზუნნი ქარივით,  
სიკვდილს, სიკვდილს ისროდა  
სრა-სასახლის თვალები.

თითქოს ბედით გვეწერა  
სხვისთვის შრომა, ამაგი;  
მძიმე ფაქრმა მოიკვა  
ჩვენი სახე ამაყი.

და ჩვენ ბევრჯერ ვიფიქრეთ  
ამ ცხოვრების დამბობა,  
გავკიოდით: ძმებო, წინ...  
გამარჯვება მოგვეყვება!

და ბრძოლები გვიცდიდა  
და იმედს ფრთებს ვასხამდით,  
სალამოს კი სისხლიდან  
ჩვენ ვკენესოდით: ნახვამდის....

ო, კოლმვილო, ნახვამდის,  
თქვენს ნახვას ვერ ველირსეთ,  
ვერ მოვედით სახლამდის,  
ისე ტყვიით დაგვესერეს!  
გავვიშორეს სიტყვა პირზე,  
გულში რწმენა ჩაჰქოლეს,  
თქვენ ნუ სტირით, ტირილი  
არ სჩვევია ჩვენს ქოხებს.

ჩვენ რწმენას ვინ დააშრობს,  
ვინ ჩაგვკლავს საუკუნოდ,  
ხელავთ, ცეცხლი თამაშობს  
ისევ ძლიერის გუგუნით!

ერთჯერ, ათჯერ, ათასჯერ  
დავმარცხდებით, რა ვუყოთ!  
ჩვენ მაინც წინ, წინ გავწევთ,  
რომ კარები გაფულოთ...

ძირს ნოტიო სარდაფებს,  
ძირს გვირაბებს ოფლიანს,  
აჯანყების დაფდაფებს  
მოვასმენთ მთელ მსოფლიოს!

ასე ველით განთიადს,  
ვიცით, დაჰკრავს ნალარა,  
საქართველოს ზურმუხტ მთებს  
რომ სხივი დააყაროს.

და ჰა, კიდევ აღსრულდა,  
მზიანი დღე გველირსა....



ირველივე შვება დასცურავს  
 და სხვის გვაფრქვევს ალერსით.  
 დამარცხებამ გვასწავლა  
 ბრძოლა, ცეცხლთან თამაში,  
 და ჩვენს სახეს გადამწვარს  
 და ჩვენ გულებს გადაშლილს  
 კვლავ ქარივით ვაფრენდით!  
 კვლავ ჩავიცვით გრიგალი;  
 გადავშალეთ აფრები  
 და ბრძოლისკენ გავქანდით;

და დღეს, ხედავთ, გვეღირსა  
 შიანი დღე ნეტარი,  
 მეც ტაშით ვეგებები,  
 პატარა პროლეტარი.  
 ცივი თვე თებერვალი,  
 თქვენ იცით, რატომ მათობს?  
 მაშინ ზეცა მზემკრთალი  
 გულში სიხარულს მათოვს.

კ. ლ—ძე.

## 25 თებერვალი.

25 თებერვალს შესრულება საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავი და რომ შევაფასოთ ამ დღის მნიშვნელობა, აუცილებლად საჭიროა გასაღებდეთ ამ ხუთი წლის ისტორიას, ხუთი წლი-წარსულს.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე საქართველო გასაბჭოვდებოდა, ე. ი. მენშევიკების ბატონობის დროს, ჩვენი ქვეყანა ლატაკდებოდა და განვითარება-აყვავების ნაცვლად უკან-უკან იხევდა. ამისი მშვენიერი მაგალითია მაშინდელი მდგომარეობა მუშების, რომელნიც, მიუხედავად დიდი შრომისა, ხელფასს ცოტას იღებდნენ და იმდენად ცოტას იღებდნენ, რომ არსებობაც უძნელდებოდათ.

ამავე დროს ფუფუნებდნენ და ბატონობდნენ ვაჭრები — ბურჟუები, რომელნიც მენშევიკური მთავრობის ფრთებს ქვეშ თავის სურვილისამებრ დანავარდობდნენ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრავალი წლების განმავლობაში, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე აქაც მუშები და ლაბორი გლეხები იბრძოდნენ მეფეთა წინააღმდეგ, რომელნიც მუდმივ ტანჯვა-წვალებებში ამყოფებდნენ მათ. აი, ამ ბრძოლის შედეგად მოხდა რუსეთში რევოლუცია, რომელმაც მეფე ტახტიდან ჩამოაგდო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ რევოლუციის დროს გაბატონდნენ მენშევიკები და სოც. რევოლუციონერები, რომელთაც თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში დასტოვეს მუშა-გლეხები.

ამის გამო მოხდა მეორე რევოლუცია, ოქტომბერში, როდესაც დაპყარდა საბჭოთა ხელისუფლება და მოსპო რუსეთში არსებული გაბატონებული მეფის გენერლები და მენშევიკები და სოც-რევოლუციონერები.

საქართველოშიც ასეთივე გასაბჭოება მოხდა 25 თებერვალს, როდესაც სრული თავისუფლება და

უპირატესობა მიეცა მუშა-გლეხებს, რომელთა წარმომადგენელთაგანაც შესდგება ჩვენი ხელისუფლება. ჩვენმა მთავრობამ გააუმჯობესა მუშებისა და გლეხების მდგომარეობა, სათანადო სიმძლევზე დააყენა სწავლა-განათლების საქმე, უკულტურო და წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი მან აქცია საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილედ.

გარდა ამისა, ყველასთვის ნათელია ის, რომ გასაბჭოების დღიდანვე გამოფხიზლდა და გამოერკვია მუშურ-გლეხური ახალგაზრდობაც, რომელმაც შეიგნო თავისი როლი და მოვალეობა საბჭოთა წყობილების აღმშენებლობისა და აყვავებისათვის. დღესდღეობით მრავალი ახალგაზრდა, რომელიც წინათ სიბნელესა და უმეცრებაში იმყოფებოდა, გამოერკვა, შეიგნო თავისი მდგომარეობა, შეიგრძნო საბჭოთა წყობილების მთელი სიძლიერე და სიდიადე, რის შემდეგაც ზურგში ამოუდგა ხელისუფლებას და ქირსაცა და ლხინშიც მასთან იმყოფება.

ყველა ამის შემდეგ დიდ ყურადღებას იპყრობს ბავშობა, ის ბავშობა, რომელიც შრომის მადიდებელია და ამავე შრომის სიყვარულით წითელ ჯეჯილივით ჰყვავის, იზრდება.

ეს ბავშობა ითვლება მესამე თაობად, რომელმაც მამათა მიერ აღმართულ დროშას ხელი უნდა შეაშველოს და მიზნამდე მიიტანოს.

ყოველი ძალ-ღონე იხმარება რომ მათ სწორი რევოლუციონური ღზრდა მიეცესთ, მუშების ქეშ-რიტი და მუდამსამართლიანად დასახული მიზნები გაიგონ, შეიგრძნონ. დღეს უამრავ ბავშობას შეგიძლებული აქვს და კიდევ შეხარის იმ წითელ დროშას, რომელიც 25 თებერვალს იქნა აღმართული ფრიალებული.


ამრიგად, ნათელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის თავი არის გარდატეხის ხან

ჩვენს ცხოვრებაში. ახალ საზოგადოებას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა, ახალი მოქალაქე იზადება.

ეს ახალი მოქალაქეები უსათუოდ უნდა წარმოიშვან ახალგაზრდობისა და ბავშობისაგან, მათზე და-მყარებული მთელი მომავალი ამოცანების სისრულე-ში მოყვანა და სრული იმედი ახალი შრომის ქვე-ყნის შექმნისა.

25 თებერვალი ყოველ შრომის შვილს უნდა აგონებდეს ბრწყინვალე მზეს, იმ მზეს, რომლის ცხოველყოფელი სხივები ჩასწვდა მის ბნელ ხვეუ-ლებს და დაანახვა ცხოვრების ნამდვილი სახე, ნამ-დვილი გამოხატულება. დღეს ყველა მშრომელს თა-მამად შეუძლია სთქვას, რომ ოცდახუთი თებერვა-ლი მათი გათვითცნობიერების და ახალი ცხოვრე-ბის გზაზე შედგომის ნიშანი იყო, რომელმაც შეს-ძლო ძველი ქვეყნის ნაშთების განადგურება.

ერგმორი.



მ. ცხაკია.

### თებერვლის 25

ზეიმობს შვებით, ზე აღმართული,  
თავისუფლების ანცი მაყარი;  
და ისმის სიტყვა ურჩი, ქართული,  
ლალ ფრთებზე ძღვევით ამონაყარი!

ო, უღვირო მოჰქრის გიჟ რაშზე  
ამღერებული ელვა, ქენება;  
უყვარს ნავარდი, ცეკვა ღიჟრაჟზე  
და ცეცხლიანი ვარდის თენება!

გასაბჭოების მესხეთე წელზე  
მოემართება ამაყი მღვრით;  
მზად არის, ორგულთ სისხლიან ველზე  
რომ შეეგებოს მახვილთა ჟღერით!

ბორკილის მსხვრევით ძველი დროება  
ააყირავა დიად ბრძოლაში;  
რევოლუციის ფაფარს ზოგბა  
და მტრები მოჰყავს შიშით ძრწოლაში!

სანეტაროდ, კავკასიონზე  
ახალ ცხოვრების იწყო შენება;

და, არკინებულ თქმით, ბასტიონზე  
მოსჩანს წითელი დროშის შვენება!

ცა ფირუზ თვალით დაჰხარის მარად,  
ო, ჰიმნს უგალობს ტურფა ბუნება;  
გამარჯვებების დღეს ჰმართავს პარადს,  
და მომავალი ესალბუნება!

ბრძოლებში ნაცად ლამაზ შვილებით  
აქ იქედება ფოლადის ნება;  
ოქტომბრით ნადენ ნაზ ყვაილებით  
ნორჩი კომუნა კვლავ იდაფნება!

ჩაქუჩ-ნამგალის მძღვევლ გრიალში  
მალლა შლის ხელებს, ომანხმიანი;  
და ძველ მსოფლიოს გადამბუგ აღში  
ბრწყინავს ვარსკვლავი ხუთქიმიანი!

ო, საქართველო, საუნჯეთ ფრქვევა,  
ყელზე ეხვევა წითლად მნათი მზე;  
და საყვარელი შრომის სუფევა  
დღეს ყველა მშრომელს იწვევს ნადიმზე!

ს. ე.

იმ, სადაც ახალი სკოლის დარაჯობა მშრომელთა ხელშია, ვალად მათ ედება,  
იმ აღვილი არის წინსვლა, წარმატება, ახალი ცხოვრება, მძლავრად იხედება!

# არსენ ჯორჯიაშვილი.

ბერძენული  
ბიბლიოთეკა

(მისი ჩამო ხრობიდან 20 წლ. შესრულების გამო.)

ყველა ბავშობა კისკასა...  
ყვავილები... სიცილი... ჟღერტული, — აი მი-  
სი სამკაულები...

მუშათა მოძრაობასაც აქვს თავისი ბავშობა ..  
პირველად უსუსურია...  
გაუბედავად, ტაატით მიდის წინ..  
მალე კი წვივი უმაგრდება... ჭაბუკდება...  
მაგრამ მუშათა მოძრაობის ბავშობა ერთი რა-  
მით განირჩევა:

იგი სხვათაებრ უღარდელი და  
ყვავილოვანი არ არის...

სისხლით იწყება მისი გან-  
თიადი..

მებრძოლთა ძვლებით იკირწყ-  
ლება მის მიერ გაკვერილი პირველი  
ბილიკი...

ამაში მე ჩემს ბავშობაშივე დავრ-  
წმუნდი...

ჯერ იყო და აღრიდანვე მეს-  
მოდა სიმღერები თავისუფლებაზე...  
მებრძოლი ბუშების დევნა წამე-  
ბაზე.

მალე ერთმა ამბავმა სავსებით  
დაადასტურა განაგონი:

ერთ დღეს ტფილის ელვის სი-  
სწრაფით მოევიწიე არაჩვეულებრივი  
ამბავი:

— გრიანოვი მოჰკლეს!.. გრიან-  
ნოვი მოჰკლეს!..

— ვინ გრიანოვი?..

— გენერალ-გუბერნატორი..

ვინ მოჰკლა?

— არსენამ... ჯორჯიაშვილმა არსენამ..

— რად მოჰკლა?..

— იმიტომ, რომ მტარვალი იყო. — სისხლში  
ჩაბრჩობას უპირებდა მუშათა მოძრაობას...

— ვინაა არსენ ჯორჯიაშვილი?..

— უბრალო კაცია... დატაკი მუშა..

— რამ გააბედვინა... როგორ გამოიშეტა თავი?..

— რევოლუციონურმა ცეცხლმა... მუშათა კლას-  
ისაღმი სიყვარულმა... დამშეული ყუმბარა ისე გა-  
აკაკანა იმ აძაღლებულისკენ, როგორც კაკაბი გაჰ-  
კრავს ხოლმე კამარას ლაქვარდი ცისკენ...

ლეგენდის პირად გადაიქცა არსენა...

ყველა იმაზე ლაპარაკობდა...

გზაჯვარედინზე არსენას მამაცობის ამბავს გაი-  
გონებდით...

\* \*

ჩვენს სახლშიაც ბევრი რამ მესმოდა არსენას  
თაობაზე.

მე მყავს უფროსი ძმა ლევანი...

ხელობით მქედელია...

მკიმე ხვედას ქნევისაგან ნიათი ჰქონდა გამოც-  
ლილი.

მხოლოდ თვალეში უბრწყი-  
ნავდა ხასიათის ძალა...

ერთი დიდი რამით გაირჩეოდა  
სწორებისაგან:

მაშინ, როდესაც სხვები სამი-  
კიტნოებში ატარებდნენ დროს, ის  
იჯდა და რალაც საიდუმლო წიგ-  
ნებს ჰკითხულობდა.

ლევანის მეგობრებიც მისი ჯუ-  
რისანი იყვნენ.

მათში უფრო გამოირჩეოდა სო-  
სო ზეინკალი..

მეტად კეთილი იყო, მოსიყვა-  
რული..

ისინი ხშირად ლაპარაკობდნენ  
არსენა ჯორჯიაშვილზე..

„დედავ ნუ სჩივი, მამავ ნუ  
სტირი,

მე მოვაშორე ქვეყანას ქირი...“  
იწყებდა ლევანი სიმღერას ნალ-

ელიანად და სოსოც აჰყვებოდა ხოლმე..

არსენამ მოაშორა ქვეყანას ქირი ..

ჩია კაცის შესახებობისა კი ყოფილა..

მე კი გმირზე სხვაგვარი წარმოდგენისა ვიყავი.  
ბევრსა ვკითხულობდი ზღაპრებს: „შავი და წი-  
თელი თეიმურაზი“... „ყარამანიანი“... „მზის ქალი.“  
მეგონა, ხალხს თუ ვინმე შევებას მოჰგვრის,  
ისევე გარდანქმანისთანა ბუჰებრაზი...

გმირი კი, თურმე, უბრალო ვინმე ყოფილა...

გლეხუქს ქონში დაბადებული..

ტყაპუქ-ბრანძებით შემოსილი ..

\* \*

ლევანსა და სოსოს ეტყობოდათ, კარგა სცნო-  
ბიათ არსენა...

დედაჩემი მათ ხშირად აფრთხილებდა:



ა. ჯორჯიაშვილი.

— შევლებო, ეხლა ისეთი დროა, რომ კედ-  
ლებსაც კი მზვერავი თვალ-ყური აქვს გამოსხმუ-  
ლი, ყველას ნუ ენდობით, არ დაიღუბოთ თავი...  
არ დაგიქირონ...

რათა, დედილო, რათ უნდა დაიქირონ?...  
ქურდები ხომ არ არიან... ვის რა ხელი აქვს ასეთს  
კეთილებთან?..

დედა მხოლოდ ოხვრით მეხმაურებოდა..

სოსო კი მეუბნებოდა:

— მოიცა, პატარავ, მოიცა!.. წამოიზრდები  
და მაშინ გაიგებ ყველაფერს...

\* \*

ტყუილად არა ჰშინებია დედას...

ერთხელ ყორანსავით შემოფრატუნდა ჩვენს  
ოჯახში ელდა... სოსო დაიქარესო, — გვითხრა ვი-  
ლაცამ და დედასა და ლევანს ნაცრის ფერი დაედოთ.

დედამ მაინც სარისტი დაიქირა...

არ დაბნეულა.

— აბა, შეილო, ბევრი ფიქრის დრო არ არის...  
მალე მოსპე ყველაფერი, რაც საეჭვოა.. შესაძლე-  
ბელია შენც მოგიკითხონ...

ლევანმა ბუხრის საკვამლედან გამოიღო რაღა-  
ცა ქაღალდები... უნდოდა სხვაგან წაეღო... ენანე-  
ბოდა დაწვა...

დედამ არ დაანება... — შეიძლება უკვე გიყა-  
რაულებენ და ქუჩაშივე ხელში ჩაუვარდები დასა-  
მტიკებელი საბუთებითაო...

დასთანხმდა ლევანი...

ცეცხლში შეუკეთა...

მე უცბად ხელი გავიწოდე, თითქოს გადავარ-  
ჩენდი...

გვიანდა იყო...

მოედო ალი...

აპრილდა...

იწოდა ქაღალდები, რომელიც, ვინ იცის, რა  
სიყვარულით, სიძნელით და სიფრთხილით იყო და-  
ბეჭდილი.

იწოდენ ისინი და მე არ ვიცოდი, რა შინა-  
არსისა იყვნენ...

რაზე მეტყველებდენ...

იბუგებოდა ცეცხლში რაღაც დიდი საიდუმ-  
ლოება, რისი გულისთვისაც აუარებელ მუშას იჭერ-  
დენ... ასახლებდენ... ახრჩობდენ...


\* \*

დავუწყეთ ლოდინი დაუბატოებელ სტუმრებს...

ლევანი შინ აღარ იძინებდა...

მალე გვეწვივნენ კიდევც.

დედას არც კი აცალეს ლოგინიდან წამოდგო-  
მა, ისე შემოგურგურდენ...  
ყველაფერი გაჩხრიკეს...



ფ. მახარაძე.

ბევრი იბუზღუნეს, ხელში რომ არა მოხვდათ  
რა...

ყინწმოწყვეტილი წავიდენ.

მეორე დღეს შევნიშნეთ, რომ ზოგს საპონი  
მოეპარა, ზოგს კოვზი, ზოგს რა და ზოგს რა..

\* \*

მოსიყვარულე იყო დედაჩემის გული..

ჩვენ ხომ თავს გვევლებოდა და ახლა სოსოც  
გაუხდა საფარეზო...

გადასწყვიტა მისი ნახვა..

იყიდა სანოვაცე, ხილი, თამბაქო, რამდენიმე  
წიგნი და გავემზავრეთ ციხისკენ..

შევყვევით მეტეხას აღმართს..

ციხის კარებთან უჩვეულო ჩოჩქოლი იყო...

მხეცებივით დაძრწოდენ მეციხოვნენი...

ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაჭანებდა, ქის-  
ტის კვრით ერეკებოდენ...

უტენაურია, ტუსადების ნახვის დღე იყო და  
აღარ კი აძლევდენ ნებას..

— რა მარცხენა ფეხზე ამდგარან?..

სადღაც გაისმა წივილი..

იგი ქვითქვითად გადაიქცა...

ეს ვილაცა დედაკაცი იყო..

ბუწუწებს იბდღვნიდა...

ღმუოდა...

— ჩემო შეილო, რა გიყვეს?... როგორ გა-  
მოგწირეს სიცოცხლე?... მომეცით ჩემი შეილი, ჯა-  
ლათებო, მტარვალებო!..

შეილო, არსენ, დედამკვდარო... რატომ მეტი  
არ გამოასალმე წუთისოფელს...

ბარემ ამათთვისაც გესროლა ყუმბარა...

როგორ ჩაუვარდი ხელში, შეილო...

შენ ხომ ყოჩალი იყავი...

ამ დაბღურებმა როგორ მოგიმწყვედის?..

გამაგიჟებელი წუთები იყო...

ამ დროს ყველაფერი მენიშნა...

არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოეხრჩოთ...

ტუსაღებს ეს გაეგოთ თუ არა, ერთი ამბავი აეტეხათ.

დაემტვრიათ ყველაფერი, რაც ხელთ მოხვედროდათ...

შიშშილიც გამოეცხადებიათ...

ამიტომ ერეკებოდნენ სანახავად მოსულებს...

\* \* \*

წამოველით გულდაჭინჭრულნი...

გზაში ხმა არ ამოგვიღია...

დამეკარგა სულის სიმშვიდე...

ყველგან მეჩვენებოდა:

ორი მკრისხანე სვეტი...

შუაში სკამი...

წითელხალათგადაცმული ჯალათი...

აჭყავს მას არსენა...

არსენა ამაყად გადახედავს გარემოს და ამბობს:

— მე მახრჩობენ... მაშასადამე, ეშინიათ ჩვენი...

ჩვენ...

ლაპარაკს აღარ აცლიან...

დაუკრეს ნალარა...

განგაშში ჩაახშობენ არსენას ცეცხლოვან სიტყვებს...

ჯალათიც გაცოფიანებული მივარდება მსხვერპლს,

თოკის ყულფში გაუყრის კისერს...

ხელსა ჰკრავს...

და...

ხარხარით... გიჟი... შეშლილი ხარხარით დაეჯაჯგურება არსენას...

ჩამოეკიდება, რომ გაჰგულოს...

თვალეები...

ახ, მისი გადმოცვიფნილი, გადმოკარკლული თვალეები...

\* \* \*

ლევანი სახლში დაგვხვდა...

დედამ უთხრა არსენას დასჯა...

ლევანი შეწუხდა...

თვალეებიდან ცრემლები წამოეთურა...

ჩამოვარდა დუმილი...

საშინელია დუმილი იმ დროს, როცა გაიგებ, რომ ჩამოუხრჩვიათ ამხანაგი მაშინ, როდესაც შენ ჯერ მზად არა ხარ სამაგიეროს გადასახდელად...

დიდი დელვა სწარმოებდა ლევანის გულში.

— დედა, — დაიწყო მან კარგა დუმილის შემ-

დეგ — ზარმდომელია არსენას ჩამოხრჩობა... მე მინც... მოხარული ვარ... კარგია, რადგან არსენა მოკვდა... მოკვდა გმირულად.

— როგორ, შვილო?... მე არა მესმის რა შენი.

— უნდა გამოგიტყდე, დედილო, რომ არსენას მდგომარეობა მე ძალიან მაფიქრებდა... მთელი ღამეები უძილოდ გამიტარებია... არსენა, უეჭველია, მამაცი იყო, მაგრამ ზოგიერთებს მინც გვეშინოდა, რომ არ მოეტეხათ... ხომ იცი, ჯალათებმა ჯოჯოხეთური წამება იციან, რომ დააშინონ, მოსდრიკუნ პატიმარი... იმდენხანს სცემენ, ვიდრე ან ხელში არ შემოაკვდებათ, ან არ ათქმევინებენ პარტიის საიდუმლოებას...

ძლიერია ოქროს ძალა...

ვინ არ მოუსყიდნიათ...

ჩვენ გვეშინოდა: ხომ შეიძლება ლითონის ჩხრიალმა არსენაც დაჰლუპოს...

მოვლენ ჯალათები და ეტყვიან:

აირჩიე ორში ერთი:

ან სახრჩობელა და ზედ ფართხალი გადმოვარდნილი ენით...

ან არა და...

ორი სიტყვა.. მხოლოდ ორი სიტყვა, თუ სად იკრიბებიან თქვენები და...

ფეშქაშად მიიღებ:

ტკბილს სიცოცხლეს...

სიმდიდრეს...

ფუფუნებაში გაატარებ დროს...

აბა, ჭკუით მოიქეც არსენ...

ორივე შენს ხელთ არის:

სახრჩობელას თოკიც და თავისუფლების გასაღებიც...

აილე ეს გასაღები...

ვინ გიშლის...

აილე და...

აგცდება სახრჩობელა...

გაგელება ციხის კარი...

ელირსები დედის ნახვას...

ვიცოდით, ასეთი საუბარი ჰქონდათ არსენასთან და გვიღონდებოდა გული... ეჭვი გვიპრობდა...

არსენა ყველა არალეგალურ მომუშავეს იცნობს.

ყველას დაჭერინება შეუძლია...

სტამბასაც ხელში ჩაუგდება...

სამხედრო საწყობსაც...

დიდ-პატარა მუშაკებსაც.

— ყველა, ყველა მაგასა ჰფიქრობდით?... ყველა მაგრე აყენებდით შეურაცხყოფას ბედკრულ არსენას მაშინ, როცა მას შეიძლება სიკვდილის ოფლს ასხავდა? — იკითხა დედამ მწუხარებით.

— არა, კარგო, კეთილო დედიკო, არა... ეს შიში მხოლოდ მცირე ჯგუფისა იყო... უმრავლესობა არ ურიგდებოდა ამ აზრს...— სირცხვილია ასე ფიქრი, — გვეუბნებოდნენ... — არსენა თქვენ კარგა არა გცნობიათ...

„ქირში იცნობის ვაჟაკი,  
მისი სიმტკიცე გულისაო...“  
ხალხის სიბრძნემ არსენასთანა პირზედა სთქვა ეს მშვენიერი ლექსი...  
სხვა გმირია არსენა... სხვა ძუძუთია ნაზარდი.  
საბედნიეროდ, მართალი გამოდგა მათი მტკიცება.

არსენას ღირსეულად სჭერია თავი...  
გმირული საქმე ჩაიდინა და გმირულადვე მომკვლარა...

ვუსმენდი ასეთ საუბარს და ჩემს გულში ცეცხლის ასოებით იწერებოდა მისი სახელი...  
ისედაც შარავანდედიანს ჩემი ნორჩი ოცნება უფრო ფერადი საღებავებით მოსავდა...  
მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო...  
ბევრი რამ დამავიწყა ცხოვრებამ...  
ბევრი ახალი ბრწყინვალე სახემა ამოიქარგა ჩემს მესხიერებაში...

ხოლო ყველა მათში წარუხიციელი დარჩა და უფრო ეღვარებს მშვენიერი სახე არსენასი, რომელმაც დამშვეული ყუმბარა ისე გააკაკანა მტრისკენ, თითქოს შევარდენმა გაჰკრა კამარაო...

დ. თურდოსპირელი.

### ნორჩი პიონერი.

ნუ შედრკები, მამაჩემო,  
შეებრძოლე მედგრად მტერსა;  
გახსოვდეს, რომ შენს პაწა შვილს  
უწოდებენ პიონერსა.

თუ ბრძოლაში მოიღლები,  
შეეცვლება შენ მკლავს ფერი,  
ან სიბერე უძლურად გქმნის, —  
მე მზადა ვარ, პიონერი!

გასწიე წინ, არ ახარო  
შრომის შვილის ბილწი მტერი,  
მეც შენთან ვარ, ვფიცავ ყველას,  
ახალგაზ და პიონერი.

სადაც კი რომ ქვეყანაა,  
და არსებობს საღმე ერი,  
ყველგან სდგება თქვენ საშველად  
ახალგაზრდა პიონერი.

მაშ, წინ გასწი, მამაჩემო,  
შეებრძოლე მედგრად მტერსა;  
გახსოვდეს, რომ შენს პაწა შვილს  
უწოდებენ პიონერსა!

დ. ელიოზიშვილი.



მამია ორაბელაშვილი.

### თებერვლის ქარმა გადაიკრინა.

თებერვლის ქარმა გადაიკრინა,  
თებერვლის ქარმა დალუნა ფრთები,  
იგი დაღლილი ველარა გმინავს  
და ნაღვლიანი წუხილით ჰქრება...

როგორც პატარა ბავშვის სიცილი,  
ისე გამოჩნდა გარიჟრაჟება.  
დაღლილ ბუნებას ზამთრის სიცივით  
ლამაზი ფერი მიეპატიჟა...

მზე წამოიჭრა დღის მეკვლესავით,  
გახსივოსნებულა შუბლის მშვენებით,  
ნახა მიდამო შესამოსავი  
და გადაშალა სხივთა ფენები...

ო, რა სიცივე გადაიარა  
დღეს ამწვანებულ ლამაზ ხეებმა,  
გულში რამდენი აჩნდათ იარა,  
რამდენჯერ ავნეს მსუსხავ დღეებმა?!

ახლა ზემის დღეები არის,  
ძვირფას ბუნებამ კვლავ გაიღვიძა:  
მოქშუის წყარო ეშხით დამტკბარი  
და თვის სიყვარულს გაზაფხულს ჰფიცავს.

ო, რა კარგია ახმაურება,  
ახლად გათბარი სიცოცხლის ძალა!  
ო, რა კარგია შფნი ყურება,  
ლალა ბუნებავ, მშვენებისთვალავ...

მე მინდა შენში ისე ვსუნთქავდე,  
როგორც რომ ვსუნთქავ საკუთარ გულით,  
თავისუფლებით შენ მინდა გვავდე,  
რომ მეც მამკობდეს ეს გაზაფხული...

ე. პოლუმორდვინოვი.



(პატარა მენახშირის ცხოვრებიდან).

ზამთარი თბილი ამინდებით მიდიოდა, მაგრამ თებერვალი შემოტრიალდა, თოვლ-ქყაპი და სუსხიანი დარბები დაიწყო.

სოფელი დიღომის მიძინებული სახე ნაღვლიანად იყურებოდა.

გათოშილი სახურავების საკვამურიდან ზღაზღანი მილოდავდენ დაფანტული კვამლის ბურთები. ისმოდა ძაღლის მიყრუებული ყეფა და საქონლის ბლავილი.

სოფელს საღამოს ბინდი დააწვა.

ჯვარწატეხილი ეკლესია და ქრაქის სინათლით დაცხრილული ქოხები ზღაპარივით იყურებოდნენ.

პატარა ქოხში ვანო ს-მის ოჯახი კერიასთან ცეცხლს მიჯდომოდა.

პატარა ქიტოს, ვანოს უფროს ვაჟს, ცამეტის წლისას, ხელში ზღაპრის წიგნი ეჭირა და სანათის სინათლეზე კითხულობდა, პატარა ძმა და ორი და კი გულმოდგინედ უსმენდნენ.

ვანო ცეცხლის პირას ღობისათვის სარგებს წვერს უმახვავდა.

ქიტოს დედა საქსოვის წინ იჯდა და დგიმში ძაფებს უყრიდა.

— გეყოფა, ქიტო, დროა დაიძინო, ხვალ ადრე ქალაქში უნდა წავიდეთ, ნახშირი უნდა წავიღოთ, — უთხრა ვანომ პატარა ქიტოს.

ქიტოს ზღაპრისათვის თავის დანებება ეზარებოდა, მაგრამ ქალაქის გაგონებამ მაინც დასძლია და საჩქაროდ დახურა წიგნი.

ინათლა.

ვანომ პატარა ქიტო გამოაღვიძა.

ქიტოს ადგომა ეზარებოდა, მაგრამ მაინც წამოიწია, წყლიდან დამბალი ქალამნები ამოიღო, გაწურა და დახეულ წინდებში გახვეულ ფეხებზე წამოიკცა. პატარა კოკროქინა, საინის მსგავსი ქუდი

კეფაზე დაიღო, წინადღებში წაიჭრებოდა ბულ სახრეს ხელი სტაცა და ეზარებოდა მოვიდა.

ვანოს საპალნიანი ვირი უკვე გაემზადებოდა. ტალახიანი შარით ქალაქისკენ გაუღდნენ.

კვირა დღე იყო.

ტფილისის ქუჩებში დიდი მოძრაობა იყო, სოფლებიდან ჩამოსული გლეხები ათასგვარი გასაყიდი რამეებით ერთმანეთში ირვოდნენ.

ვანო და პატარა ქიტო სასამართლოს ქუჩას შეჰყვეს. ქიტო ვირს მიდენიდა და ხმაბალა გაჰკიოდა:

— ნაახშირი... კარგი ნახშირი.

— რა დროს შენი ნახშირი? — ჰკითხა ერთმა მსხვილმა კაცმა, რომელსაც კისერი მეტად გასქელებოდა, მთელი, მაგრამ გამწვრივიანებული, მოსხანდა პალიტოს შიგნით გახუნებული ტუყურკა ისეთივე მწვირინი ყელსახვევით; ამასთანავე საათის გრძელი ოქროს ძეწკვი ამტკიცებდა, რომ ეს კაცი ვაჭარი უნდა ყოფილიყო.

— შე სულ ვიყდი, თუ პირიანად მომირიდები.

— კარგი, ბატონო, — მიუგო ვანომ. აქ ოთხი ტომარაა, თითო მანეთად მოგართმევთ.

— არა, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ოთხ-ოთხ აბაზს მოგცემ.

ვანო დათანხმდა და პატარა ქიტომ ვირს წკნელი უთაქა და დიდი ალაყაფის კარებში შეარბენია.

რამდენიმე წამის შემდეგ ვანო და ქიტო ვართ ერთად ქუჩის დაღმართს დაეკიდნენ. ვანო ვერ-



ცხლის ფულს ითვლიდა, ქიტო კი მხიარული ხტომით ვირს უკან მისდევდა.

ვერის ბაზართან ვანომ ვირი შეაჩერა, ქიტოს უთხრა, რომ ყური ეგდო, თვითონ კი დუქანში მარილის საყიდლად შეუხვია.

პიონერები ბუკისა და ნადარის ცემით მოდიოდნენ. პატარა ქიტოს გული აუთამაშდა და თვითონაც ფეხაწყოებით უკან გამოუდგა, დაავიწყდა მამის დანაბარები, რომ ვირს უნდა მოდგამოდა. ნახშირით გამურული სახით და შინ ნაქსოვი შემოფხრეწილი შალის ბლუზა-შარვლით მაგრად აბიჯებდა დახეულ ქალამნებში გამოჩრილ, სიცივისაგან დასერილ პატარა ფეხის თითებს.

ერთ-ერთ ფართო ქუჩაზე პიონერები რწყვილად შევიდნენ მაღალი სახლის დარბაზში; პატარა ქიტოც მათთან ერთად ღინჯი ნაბიჯებით ამოეფარა დარბაზის კარებს.

ქიტო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა; დიდი დარბაზი გაწყობილი იყო სხვადასხვა სურათებით. უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ერთმა პიონერმა, რომელიც ყველაზე წინ მოდიოდა და რიგს ხელმძღვანელობას უწევდა, შეაჩერა იგი და ჰკითხა:

- შენ სადაური ხარ, ამხანაგო!
- მე... მე... — ქიტო პირველად დაიბნა, მაგრამ მერმე თავი შეიშავრა — მე დილომიდან ვარ.
- რამდენი წლისა იქნები?!
- ცამეტის, — მიუგო ქიტომ.
- სწავლობ თუ არა?!
- როგორ არა, დილომის სკოლაში უფროს ჯგუფში ვარ.

— არის თუ არა თქვენთან პიონერების კოლექტივი, აი, ასეთი ჯგუფი, როგორიც ჩვენა ვართ?

— არა, — მიუგო ქიტომ.

— კომკავშირის უჯრედი ხომ არის თქვენ სოფელში?

— არის, მაგრამ ისინი ჩვენზე მეტები არიან.

კოტა ხნის საუბრის შემდეგ ქიტო წარუდგინეს ერთ-ერთ უფროს ამხანაგს, რომელიც მაგიდას მიჯდომოდა და რაღაცა ქალაქებს კითხულობდა.



ნები; ამასთანავე გაატანეს დილომის კომკავშირის უჯრედთან მიწერილობა, რათა დილომის სკოლასთან დაეარსებიათ მათი ხელმძღვანელობით პიონერთა კოლექტივი. პატარა ქიტოს ერთ-ერთმა პიონერმა დააბნია გულზე პატარა დროშა, პიონერის ნიშანი.

ქიტომ მუყაოს ყდა ილღიაში გამოირქო და სიცივისაგან დასერილ პატარა ფეხებს ღინჯად მოაბიჯებდა და ნახშირით გამურულ სახესაც მეტი სერიოზულობა ეტყობოდა. ახლა ის უკვე აღარ არის ის მენახშირე პატარა ბიჭი, რომელიც რამოდენიმე საათის წინედ ვირს უკან მისდევდა; მას აქვს მუყაოს ყდა, პიონერის ნიშანი გულზე, თუმცა ჯერ სრული პიონერი არ არის.

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ქიტო სოფლისაკენ მიმავალ მეზობლის ბიჭებს წამოეწია; ბიჭებმა შეხედეს დაღინჯებულ ქიტოს მუყაოს ყდით, გულზე წითელი ნიშნით და სიცილი დაუწყეს. ქიტო კი ყურს არ უგდებდა და გზას ღინჯად განაგრძობდა.

ვანო როდესაც დუქნიდან გამოსულიყო, ქიტო ვერ ენახა და ეფიქრა, შინ წავიდოდაო, მაგრამ როდესაც შინაც აღარ დახვდა, საწყალი გლუხი შიშით კინალამ შეიშალა.

ის ისევ უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს მიადგა დაღინჯებული ვაჟი ქალაქიდან.

ვანო უეცრად აენტო, შვილს ცეპას უპირებდა, მაგრამ პატარა ქიტო განხე გახტა და წითელ ნიშანზე თითი დაიღო.

— გთხოვთ, ამხანაგო მამაჩემო, ხელი არ შემახოთ!

— ეს ნამდვილად შეშლილა! — დაიძახა ვანომ სასოწარკვეთილებით და ქიტოს ხელი სტაცა.

— ვაიმე, შვილო, — დაიკივლა დედა — არიქა, მკითხავი, შეველოცოთ, ეგებ გზაში შეეშინდა მართო სიარულის დროს.

პატარა ქიტოს გული მოუფიდა, შედგა სკამზე და ხმამაღლა წამოიძახა:

— გთხოვთ, ამხანაგებო, ნუ დამცინით, თუ არ გჯერათ, აი ჩემი მონდობილობა.

— ვინ არის შენი ამხანაგი, შე მაიმუნო, — მიძახა ვანომ და წვდა ქოჩორში, მაგრამ უეცრად ბეკლიანი ქაღალდი დაინახა, შვილს ხელი გაუშვა და თითო ასობით ქაღალდს ამოთვლა დაუწყო.

როდესაც ქაღალდის კითხვა დაასრულა, სიხა-


რულით ანთებული თვლები ქიტოსკენ მიმართული აღტაცებულმა მამამ, მერმე წაავლო ძლიერად ჩივილი და რამდენჯერმე ზევით აახტუნა.

გავიდა ხანი.

პატარა ქიტოს მუყაითმა და აქტიურმა მუშაობამ სოფელი დიღომის კომკავშირისა და პიონერთა კოლექტივს ყურადღება მიიპყრო.

ერთ დღეს, როდესაც კომკავშირის უჯრედთან გაერთიანებული კრება ჰქონდათ სოფელ დიღომის პიონერებს, პატარა ქიტო პიონერის სახელწოდებით დააჯილდოვეს.

უ. მ — ნი.



ლევ გუმილევსკი.

გამონათგომის სასაფლაო

1. სიჩუმე შესცვალა ქარმა

თერთმეტი დღე იდგა ქახჭახა ჰაერში გაყინული სიჩუმე. სუნთქვა რთვილად იბნეოდა და ურასიდან<sup>1)</sup> ჩამჩით გადმოქცეული წყალი თოვლზე გაქვავებულ ყინულის ნატეხებად ეცემოდა.

მეთორმეტე ღამეს უეცრად დაიღმუვლა ოკეანე-ქარმა. ირ მები დაბრუნდნ ტაიგიდან, დამწვრივდნ ურასის უკან მხარდამხარ, როგორც ერთი თოთხმეტთავიანი ვეშაპი. ირუმების თბილი მუცლების ქვეშ შეხიზნული ძაღლები ნელი ხმით წკმუტუნებდნ. ქარმა ყველაფერს თოვლი მიასარა.

ირმების უძრავი ხერხემლები უზარმაზარი კუს ძვლის შავ ზურგს ჰგავდა. თითქოს ეს უზარმაზარი კუ მეორე ათასი წელია აქ თოვლში სთვლემდა.

ქარმა გამობერტყა ურასიდან სითბო, დატრიალდს თიხით შეღვსილ დაწულ ფაცხაში, კორიანტელი ააყენა კერაზე, ჩააქრო ნაკვერცხლები და ტაიგაში გაიტაცა.

ღამე სტუმრის შვილს სიცივისა და ქარისაგან გაეიღვიძა. გამოჰყო შავი თავი ირმის ტყავებისაგან საძილოდ შეკერილი ტომრიდან და დააყურა. მისი ბრტყელი სახე გათოშა ყინულის წმინდა ნემსებმა, რომლებიც ქართან და თოვლის ფიფქებთან ერთად ხვდებოდა მას. სტუმრის შვილი უცებ დატრიალდა, ამოძვრა ტომრიდან და გადაფოფხდა მიწის იატაკზე მეორე უზარმაზარ ტომარისა-

კენ, რომელშიაც დანარჩენებს ეძინათ, და ჩაჰყო ტომარის პირში ფეხები. ფეხი დააწვა მამის მოკრუნჩხულ ხელს. მამას არ გამოღვიძებია, მაგრამ საბრალოდ, ისე, როგორც ძაღლები წკმუტუნებდნ სიცივეში, დაიკენესა:

— ყველაფერი მოგეცი, რაღა გინდა, თავი დამანებე.

ქარმა დაფარა მისი ბოდვა. სტუმრის შვილი ჩაძვრა ტომარაში და მისწი-მოსწია შიგ მძინარენი. მამამ გამოაძრო მტკივანი ხელი ზურგის ქვეშ და ხრინწიანი ხმით დაიყვირა ტკივილისაგან.

— შენ, გესმის, გადავიხადე მეთქი, ყველაფერი! მას გაეღვიძა თავისი ყვირილისგან, რომელიც გაციებული ქოფაკის ყეფას უფრო მოგაგონებდათ, იცნო შვილის სხეული სუნით და, როდესაც იცნო, ჰკითხა:

— შენ ხარ, ანდრია?

ანდრიას გაეცინა.

— იორებმა<sup>2)</sup> ქარი ააყენეს, ღრიანცელი დაიწყეს ცეცხლი გაქრა. შემცივდა. — მან ჩაარტყა ნიდაყვი მამას ტიტველა გულში და ჰკითხა: — იმ სტუმარს ხომ არ ელაპარაკებოდი სიზმარში, რომლის პატივისცემის აღსანიშნავადაც მე შეძახით სტუმრის შვილს?

მამამ ტკივილისაგან ამოიხენგნა და მორჩილად უპასუხა:

— სწორედ ის იყო. იორებმა ქართან ერთად მისი აჩრდილიც მოიყვანეს. ისევე მოგნათლა შენ, როგორც რუსებმა იციან, და ანდრია დაგარქვა. ურჩობა ვერ გავუბედე, იმიტომ რომ ბრტყვიალა ღილები ეკერა და ღალასაც ბეწვეულობით ღებულობდა რუსის ხელმწიფისთვის.

— აი, შე ბებერო, თათებმომტვრეულ მოგელო, ცეცხლოვანი წყალი ხომ არ დაგიღვივია მასთან ერთად?

1) ურასა — ქოჩი იაკუტის ბინა.

2) იორები ავი სულეები, რომლებსაც არსებობა სწამთ იაკუტებს.

მამა მიიწია იქით, ეწინოდა, კიდევ არ მოხვედრო-  
და შვილის ნიდაყვი ტიტველ გულზე. შვილმა გაჰკრა  
მას მტკივან ხელზე.

— მადლი შესწირე მოხუცს, <sup>1)</sup> რომ ეს მხოლოდ  
სტუმრის ანრდილი იყო.

დედას ესმოდა მათი, ლაპარაკი, გადაგორდა ქმარს  
მადლიდან და ჩაწვა ქმარსა და შვილს შუა. სტუმრის შვი-  
ლი მიეკრა მის თბილ ტანს და სითბოში ნელ-ნელა ჩაეძინა?  
დედა ჩაიკრა გულში მისი თავი და ზღაპარით მოუყვა:

— შენ იმიტომ გეძახით სტუმრის შვილს, რომ ისე-  
თი ეშმაკი ხარ, როგორც სტუმარი, რომელმაც მოგნათ-  
ლა და დაგარქვა თავისი რუსული სახელი. ჩვენ იმიტო-  
მოვიქცებით ასე, რომ სტუმარს ასე უნდოდა. სტუმარმ  
კი სოხას <sup>2)</sup> სახლში ბატონია.

დედამ გადაუსვა შვილს თავზე ხელი და განაგრძო  
ლაპარაკი, თანაც ყურს უგდებდა ქარის გრიალს და თა-  
ვის სიმღერასავით გაჭიანურებული ხმით ლაპარაკს.

ბებერი ივანა, ჩემი ქმარი და შენი მამა, გაძვალ-  
ტყავებულ ბებერ ირემსა ჰგავს, რომელსაც ალარ შეუძ-  
ლია ნადირის მოკვლა და ჩვენი რჩენა. შენ ხარ ახლა  
ჩვენი ბატონ-პატრონი ოჯახში. შენ გიჯერებთ ყველა-  
ფერს და გემორჩილებით. მაგრამ განა შენ სოხა არა ხარი  
რასაკვირველია, სოხა ხარ, თუმცა სტუმრის შვილს კი  
გეძახით.

ის ერთხანს ყურს უგდებდა ქარის ქშიტინს და შვი-  
ლის სუნთქვას და შემდეგ ისევ განაგრძო ნელი სიმღე-  
რით:

თორმეტი შესვენების განმავლობაში მოგვდევნ ჩვენ  
ნაკვალევზე თომუზები <sup>3)</sup>. ჯერ კიდევ მგათე დასვენების  
დროს შემოგვადლიეს შენი დის მაიასათვის ურვალი: მელე-  
ბი, სამურები, წავები, ყარყუმები. მაიას თვალები, მართა-  
ლია, იმ მდინარეზე უფრო ნათელია, რომლის სახელსაც  
თვითონ ატარებს; ჩვენ ეს სახელი იმიტომ დავარქვით,  
რომ მდინარე მაიას პირას დაიბადა. მაგრამ განა ცოტას  
იდლევიან თომუზები? და ჩვენ კი არ მივათხოვეთ ქალი  
მდიდარ თომუზს, იმიტომ რომ სოხა არ არის და თომუ-  
ზია! აი, როგორია ჩვენი კანონი. არა უშავს, იტიროს  
მაიამ, რა ვქნათ, რომ მოსწონს თომუზი. დაე, დარჩეს  
თომუზს ყარყუმები და სამურები. ჩვენ კანონის მორჩილი  
ვართ, ისე, როგორც შენი, ჩვენო ბატონო.

ქარი დაძრწოდა ურასში, აწყდებოდა იქით-აქეთ  
და ნაცრის კორიანტელს აყენებდა. ძაღლები თოვლში  
ჩაფლულნი ღმუოდენ ირძების თბილი მუცლების ქვეშ.

სტუმრის შვილმა შემოიღვა თავს ქვეშ ერთი ხელი,  
მეორეთი მოიწია მადლიდან ბეწვიანი ტყვი და გაეხვია  
შიგ სიცივისა და ქარისაგან.

დედა ძლივს გასაგონად, მღერით განაგრძობდა:

— ქარი წალექავს ყოველგვარ ნაკვალევს, იორი  
ბოროტ საქმეს გვიქადის. თომუზის თვალები სიყვარულით  
ელავს, როდესაც მაიას უტკერის. ნეტავი რას ჩასძახებს  
მას ყურში ქართან ერთად ამაღამ იორი?

დახურულ ტომარაში დახუთული ჰაერი იყო. ბებერ  
დედაკაცს თვალები ეხუტებოდა ძილისაგან. მან თავზე  
შვილს ხელი გადაუსვა და უთხრა:

<sup>1)</sup> მოხუცს იაკუტები ღმერთს ეძახიან.

<sup>2)</sup> სოხა — აკუტი, — ასე ეძახიან თავის თავს იაკუტები თავის  
ენაზე.

<sup>3)</sup> თომუზი — ტუნგუსი.



შ. ვლიავა.

— დაიძინე, ბატონო!  
და უცებ დაიძინა, ჩავარდა ძილში, როგორც ქვა  
წყალში.

სტუმრის შვილი თბებოდა დედისა და ძმის სითბო-  
თი; სუნთქავდა მამისა და დის სუნთქვით და როდესაც  
გათბა, მაგრად ჩაეძინა, — მის ფიქრში, თუ როგორ დაი-  
ლალა გრძელი მგზავრობით.

გზა დიდი იყო, როგორც ის მიზანი, რომელსაც ის  
თანდათან უახლოვდებოდა.

მეორე ზამთარი იყო რაც სტუმრის შვილი, ყინუ-  
ლოვანი ოკეანეს ნაპირისკენ მიდიოდა. ის წამოვიდა მაიას  
ნაპირებიდან, სადაც მისი და მაია დაიბადა. მაიას ნაპი-  
რას ლერწამში მამა უცნაურ მხეცს წააწყდა, რომელმაც  
ხელი სამუდამოდ დაუმახინჯა. სტუმრის შვილმა დაახრჩო  
თავისი ხელით ყვითელი ძაღლი და მაშინ ვინც ნახა მხე-  
ცი და მამის დაჭმული ხელი, ამბობდა, სტუმრის შვილმა  
ვეფხი მოჰკლაო. მაიადან გამოჰყვინნ ალდანს, ჩავიდენ  
იქამდის, სადაც ის უერთდება ლენას, ლენაზე კი ისინი  
დაეშვენ ქვევით ბიკოვის კონცხისაკენ, საიდანაც ბედნიე-  
რებს შეეძლოთ: ჩასვლა მამონტების სასაფლაოზე.

განა ვინც ვეფხი მოჰკლა, ის არ იყო ბედნიერი?  
სტუმრის შვილი მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ.

ისვენებდენ იქ, სადაც ნადირს მოჰკლავდენ და ჩერ-  
დებოდენ ერთ ადგილას, სანამდის ნანადირვეის ხორცი  
არ გამოეღეოდათ. ურასში კვრა ყოველთვის ანთებული  
იყო და ხორცი შრებოდა ცეცხლზე. როდესაც ხორცი  
გამოეღეოდათ, რამოდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ  
ჩაის სვამდენ, იწვენენ ჩუმად და ძაღლსავით აღერსიანი  
თვალებით შეჰყურებდენ სტუმრის შვილს. შიმშილი აუტა-  
ნელი ხდებოდა. სტუმრის შვილი იღებდა თოფს, მიჰყავ-  
და ძმა, მიჰყვებოდა ნადირის კვალს და მიდიოდა წინ.  
დიდხანს, მოთმინებით უთვალთვალებდა ნადირს, ყარაუ-  
ლობდა და აუცილებლივ მოახვედრებდა კაჟიან თოფს და  
მოჰკლავდა.

მაშინ ვანიკო ბრუნდებოდა უკან ზინაზე. თხილამუ-  
რისაგან აყენებული ხმელი თოვლის კორიანტელი მის-  
დევდა მას უკან. სტუმრის შვილი რჩებოდა და უყარაუ-  
ლებდა მოკლულს. უზარმაზარი მკვდარი ლოსი ცივდებო-



და თოვლზე. სტუმრის შვილი გამოსჭრიდა მსუქან ნაჭერს და სჭამდა.

ურასში კი ვანიკოს მოსვლისათანავე შეიქნებოდა ერთი ხმაურობა და ფაცაფუცი. ალაგებდნენ ნართზე <sup>1)</sup> ყველაფერს, რაც ურასში მოიპოვებოდა, და შემდეგ თვითონ ურასის კედლებსაც. ვანიკო შეაბამდა შიგ ირმებს, ძაღლები მიერეკებოდნენ ჯოგს და ყველანი ერთად—ადამიანები, ძაღლები, ირმები და ქონება—გადინაცვლებდა ადგილს ოცი, ხან ოცდაათი ვერსის მანძილზე, სადაც ბედი ეწიათ და ნადირი მოჰკლეს.

ახალ ადგილას, ნანადირევის გვერდით, გადასწმენდნენ თოვლს, დადგამდნენ ბოძებს, გაამაგრებდნენ ზედ ტყავებს, შემოსავდნენ თოვლით, ფანჯრის მაგივრად ყინულის ნატებს ჩასვამდნენ, კერაზე ცეცხლს გააჩაღებდნენ და სჭამდნენ ხორცს, სანამ გაუთავდებოდნენ.

როდესაც ხორცი გაუთავდებოდნენ, შეუდგებოდნენ ჩაის სმას, და რამდენიმე დღის განმავლობაში იწვნენ და ეძინათ, ზარმაცად იზმორებოდნენ და უტდიდნენ, სანამ სტუმრის შვილი თოფს აიღებდა და ვანიკოს წაიყვანდა და წავიდოდა.

ამნაირად მოგზაურობდა სტუმრის შვილი ამ ორი წლის განმავლობაში და მას მიჰყვებოდნენ მამა, დედა და და-ძმა. სტუმრის შვილს ეოჰქონდა მათთვის საკვები ყველანი ბატონს უძახოდნენ მას და უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ, არ ეკითხებოდნენ, სად და რისთვის მიდიოდა ის.

II. ქარს გაზაფხული მოჰყავს.

ღამე სტუმრის შვილს რაღაც ლაპარაკი და ხმაურობა შემოესმა; მან გაიღიმა, როგორც სიხმარში, და თვალები არ გაუხელია.

ქარმა წმინდად გამოხვეტა კერა. წყალი დიდხანია ყინულის ნატებზე დადებულიყო ჩაიდანში, როდესაც სტუმრის შვილმა გაიღვიძა. გაიღვიძა თუ არა სტუმრის შვილმა, ასწია ხელი თავს ზემოთ გასასვლელისაკენ, მაგრამ გასასვლელი ვერ იპოვნა, მაშინვე წამოიჩოქა მუხლებზე და დაუწყო ძებნა გასასვლელს.

ტომარა თავმოკრული იყო გარედან. სტუმრის შვილმა ხელი გაჰკრა მამას, შეეხო დედის გაძვალტყავებულ ზურგს, იპოვნა ვანიკოს თავიც, მაგრამ მისი ხელის თითებმა ვერსად ვერ იგრძნო დის ნაზი პირისკანი. გაბოროტებული ცეცხლივით აენტო; ადგა ტომარაში და დაიყვირა.

— მაია, შენ ხომ არ მოგვიკარი აქ ტომრის თავი? არავინ არ გასცა პასუხი. ირმის ტყავი მაგარია, დანა კი გარეთ იყო ტანისამოსის სარტყელზე ჩამოკიდებული. სტუმრის შვილი ურტყამდა ფეხებს მამის ტიტველა გულს გლეჯდა ხელებით ტომარას და თავის უძლურობით კვნესოდა.

— გადალრდენი კბილებით, — უთხრა მამამ, — ეტყოფა, თომუზები მოვიდნენ და მაია მოიპარეს ისე, როგორც მოვლემავ ირემს იპარავენ დამშეული მგლები.

სტუმრის შვილმა ჩაიდვა პირში მოკეცილი ტომრის ტყავი და დაუწყო ღრღნა. მაგარ ტყავს ჰრატუნნი გაჰქონდა მის მაგარ კბილებში. დაღლილი დავარდა ძირს და დაეცა ზევიდან დედის აკენესებულ თავს. ამ დროს მალ-

ლა გალრდნილი ტყავიდან დღის შუქის ნაწილი ნაკლებად კვლავი გამოჩნდა.

— ღრდენი! — გაიმეორა მამამ, — იმოღენა ხერელი უნდა გამოღრდნა, რომ ხელი გავიდეს.

სტუმრის შვილი შეუდგა ისევ ღრდნას და ღრდნიდა გამწვავებით, სანამ თბილი სისხლის გემო არ იგრძნო პირში და შეჩერდა, გასინჯა თითით ის კბილი, რომლის ტკივილსაც გრძნობდა, და მოარყია.

მამამ ხრინწიანი ხმით წარმოსთქვა:

— ქარი ჰგვის ყოველნაირ ნაკვალევს და ვერავინ ვერ იპოვის იმით კვალს, ვინც კის <sup>1)</sup> მოიპარა. იჩქარე. ქვის პოვნა უფრო ადვილია ლენაში, ვიდრე კაცის პოვნა ტაიგაში. ღრდენი შენ, თორემ ჩემი კბილები იმ თომუზსაც კი ვერ გადავღრდნი ყელს, რომელმაც გოგო მოიპარა.

სტუმრის შვილმა გამოღრდნა ტომარაში ნახერეტი. დღის სინათლემ ის პატარა მზეს დაამსგავსა, რომელიც ანათებდა შავ ხერელს, სადად მოკრუნჩხულიყვნენ შეშინებული, დაჩაგრული ადამიანები. სტუმრის შვილმა გაჰყო თითები თეთრ მზეში და ჩახია ტყავის კიდეები. თითებში ტკივილმა დაუარა.

მამამ შეჰყვირა:

— გათავისუფლდით; გახედე, რა არის იქ!

სტუმრის შვილმა ერთ წამს შეისვენა, გაჰყო ხელი და გაწია ტყავი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ტყავი თითქოს დიდი ყოყმანით დაემორჩილა მის გაბრაზებულ ხელებს და გაიხა.

— გადი, — დაიყვირა მამამ.

სტუმრის შვილი გამოვიდა. ტიტველ მხრებზე ტყავების ანარეკი თოვლი დააცვინდა. გათავისუფლდა ტომრისაგან, გაბერტყა და ჩაუცმელი გაიქცა კარებისაკენ. ბეწვეულობის მთელი გორა ეყარა კარებში თოვლით დაფერფლილი. კარები გაღებული იყო და ქარს თავისუფლად შემოჰქონდა გაყინული თოვლის ფიფქები. სტუმრის შვილმა აიღო ხელში ბეწვეულობის დიდი გროვა. გადმოცვივდა მგლების ტყავები და ქვეშ კი გამოჩნდა წავეები და სამურები.

— ურვადი! — გაიცინა სტუმრის შვილმა, — მაია ღირს ამ ფასად.

მამა გამოძვრა ტომრიდან, რისხვითა და სიცივით აკანკალებული შეუდგა ტანის ჩაცმას და შვილსაც გადაუგდო ტანისამოსი. სტუმრის შვილმა ჩაიცვა და დაჯდა გაბნეულ ტყავებზე და გაეხვია ირმის თბილ ტყავში.

მამაც გაეხვია ტყაპუჭში, ბოროტება და სიბრაზე აღრჩობდა. გამოიძრო ქამრიდან დანა, დაგორდა მიწაზე და სანამ მოასწრებდნენ და შეაჩერებდნენ, ორი ბეწვიანი ტყავი ნაკუწ ნაკუწად აქცია.

სტუმრის შვილმა გამოგლიჯა ხელიდან დანა. მაშინ მამა გამოხობდა ურასიდან გარეთ ხრინწიანი ღმუილით, რომელმაც გამოიწვია ყურდაცქვეტილი ძაღლების გამოძახილი ირმების მუცლების ქვეშეიდან. მამა ისევ ჩქარა დაბრუნდა. სტუმრის შვილმა დაცინვით გადახედა მას. მამამ უთხრა:

— არც ერთი კვალი არ სჩანს. ქარს თოვლის მთები დაუყენებია. იორები იმათკენ არიან. შენი საუკეთესო ირმებიც წაუყვანიათ და თავისი დაუტოვებიათ. ერთი

<sup>1)</sup> ნართი—მარხილი.

<sup>1)</sup> კის—გოგო.

ჩემსავით დამხვრჩვალა და კვდება. წაიღე დანა, დაპკალი.

თავზე ხელები მოიჭირა და ღმუილი დაიწყო დაკრუნხული ხელის ტკივილისა და თავისი უღონობის გამო. სტუმრის შვილმა ამოიღო წელიდან დანა და არც კი შეუხედავს მამისათვის, ისე გავიდა გარეთ.

დედამ გამოჰყო თავი ტომრიდან და დაუძახა შვილს: — ვანიკო, აქ მოდი ჩქარა. ქურდებს მომაკვდავი ირემი დარჩენიათ, ანდრია დასაკლავად გავიდა. ახლავე ცეცხლს ავანთებ. დღეს საჭმელი გვექნება.

ტიტველა ვანიკოს მუქკანიანი სხეული ამოვიდა ტყავიდან დედის შემდეგ. ჩაიცვას, თვალები თოვლით ამოიწმინდეს და ძილისაგან ახალგამოფხიზლებულის სისწრაფით დაიწყეს კარებისკენ ცქერა. სტუმრის შვილი ემოვიდა და გატყავებული ირემი შემოიტანა, ტყავი კუთხეში მიაგდო და თვითონ აორთქლებული ხორცი შუაზე გამოათრია. არავინ არ მიჰკარებია, სანამ სტუმრის შვილმა არ გამოსჭრა თავისთვის საუკეთესო ნაჭერი და არ შექაპა სრულიად.

ქამდა აუჩქარებლად. დედა, ვანიკო და მამაც, რომელმაც ერთ წუთს დაანება თავი კენესას, უყურებდნენ მას პირში, უყურებდნენ, როგორ გადმოსდიოდა მას ირმის სისხლი პირზე და როგორ ინძაუოდა იმისი ყბები ნელა და გაზომვილად.

სტუმრის შვილმა გადაჰყლაპა უკანასკნელი ლუქმა და დანა მამას გადასცა. იმანაც გამოსჭრა თავისთვის ნაჭერი და მამინ ყველანი მიაჩერდნენ მას, მის ყბებს და თან იკრუხებოდნენ შიმშილისა და სიციკისაგან.

სტუმრის შვილის მკერდი იგებოდა სითბოთი. ის აბვალიერებდა ტყავებს, ეტყობოდა, მოსწონდა. მამამ დაუყვირა:

— ნაკუწ-ნაკუწად დასტერი ტყავები; ჩვენ არ ვიღებთ თომუშებისაგან ურვადს. აიღე დანა და გასწი, ეძებე ის, ვინც ჩვენ ასეთი სირცხვილი გვაქაპა და სანამ არ წახავ და არ გაუპობ ქურდს გულს, მანამ არ დაბრუნდე.

სტუმრის შვილმა გადახედა მამას, გამოგლიჯა დანა ხელიდან და გადასცა დედას.

— ახლა დედამ და ვანიკომ სჭამონ! — სთქვა მან და ზიზლით შეხედა მამას. — განა შენ გაიგე, დამხრჩვალო ძაღლო, როგორ შეგკრეს თომუშებმა? თუ შენმა ქალიშვილმა იმიტომ მოგიკრა თავი ტომარაში, რომ აღარ შეგეძლო მისი რჩენა?

მამამ არაფერი უპასუხა. ის უცქეროდა, როგორ გამოსჭრა დედამ ვარდისფერი ხორცის ნაჭერი და ვანიკოს გაუწოდა გამოწვდილ ხელში. სტუმრის შვილმა ზიზლით გაჰკრა ფეხი ირემს და უთხრა მამას:

— შენ ამ დამხრჩვალ ირემზე ნაკლებ სასარგებლო ხარ და, აბა, შენ რა უნდა გკითხოს კაცმა! მთა წაჰყვა მას, ვინც უყვარდა. განა თომუში კაცი არ არის? წადი, ფიჩხი მოიტანე, უკეთესია, ფიჩხის მოსატანად ორივე ხელი არ არის საჭირო.

მამამ გამოგლიჯა დედას ხელიდან ხორცი და აჩქარებით დაიწყო ყლაპვა. ის სიბრაზისა და სიჩქარისაგან იხრჩობოდა.

— მე თვითონ დავეწევი იმით თომუშის სისხლით მოვირეცხ სირცხვილს.

სტუმრის შვილმა თავი იქით მიიბრუნა. — ქარს გაზაფხული მოჰყავს, — სთქვა მან და შე-



მარიამ ორახელაშვილი.

ხედა კერაზე თოვლის კორიანტელს. ამ გაზაფხულს მამონტების სასაფლაოზე ჩავალ. რუსები მამონტის ძვლებს მელეებისა და სამურების ბეწვებზე უფრო მეტად აფასებენ. გაზაფხულის ტბებში იპლენს ძვლებს დავიკერ, სრულიად საკმაო იქნება, რომ აღდანზე რუსებმა სამაგიეროდ რუსული ღუმელი, რუსული ქოხი და რუსული პურის საცხობი მანქანა მომცენ. რუსები ზამთარშიც ისე კარგად ცხოვრობენ, როგორც ზაფხულში. ზამთრის სიბნელე იმით არ აშინებს, იმიტომ რომ თვითონ ანთებენ ქოხებში მზეს. მეც ისე გავეშამადები, როგორც რუსები, და ზამთარში მეც მექნება ფრინველების კვერცხები, ძროხის რძე, დამარილებული თევზი და პური და დამხრჩვალ მეგელსავით არ მექნება დაკრუნხული ხელები.

— თომუშებმა შენი და წაიყვანეს და შენ შური უნდა იძიო! — უთხრა მამამ.

სტუმრის შვილმა მოიხედა მამისკენ.

— წადი ფიჩხის მოსატანად, ბებერო ქოფაკო. შენ იმაზე ლაპარაკობ, რაც მოკვდა. მოკვდა შენი კანონები და შენი სიცოცხლეც ქრება, როგორც ნაკვერჩხალი კერაზე. დაჩუმდი და წადი. ადექ, ხელს ნუ მიშლი. თუ შენ ახლავე არ წახვალ შენ საქმეზე, მეორე ხელსაც იმ ყვითელ ძაღლზე უარესად გადაგიგრებს, შე საწყალო!

მამამ ჩამოუშვა შუბლზე და ყურებზე გახუნებული ქუდის ყურები, მოიხურა ტყავები და მორჩილად გამოძვრა ურასიდან. სტუმრის შვილმა გააყოლა მას თვალი და გამოართვა დედას ვარდისფერი ხორცი, რომელიც მან მიაწოდა.

III გაზაფხული მიზანს აახლოებს

ქარი მოკლე დღეებით და გრძელი ღამებით ჰქროდა განუწყვეტლად. კერაზე ნაკვერცხლები იფერფლებოდა და ზედ ირმის ხორცი იწვებოდა. სტუმრის შვილი სიგამძღარისაგან ტყვიასავით მძიმე მუცლით იწვა ბეწვებზე და რუსულ ქოხებში ანთებულ მზეებზე ფიქრობდა.

ტომრებში იწვნენ მამა, დედა და ვანიკო. იმათაც მუცლები მამლარი და დამძიმებული ჰქონდათ და არც მოძრაობა და არც ლაპარაკი არ უნდოდათ სიგამძღარისაგან ყურებს ჟრიალი გაჰქონდა, წყურვილი აწუხებდა, მაგ-

რამ ირემი ჯერ კიდევ არ იყო შექმული და ჩაის არ სვამდნენ—თოვლსა და ყინულის ნატეხებს ყლაპავდნენ.

ძილი ისევე სწრაფად ეუფლებოდათ, როგორც გავლვიძება. როდესაც გაიღვიძებდნენ, მაშინვე ხორცის ჭამას შეუდგებოდნენ, და ყბას მხოლოდ მაშინ შეასვენებდნენ, როდესაც დაღლილობისაგან მოძრაობის უნარი ეკარგებოდათ.

მესამე დღეს ირემი უკვე შექამეს. დედა შეუდგა თოვლის დნობას ჩაიდანში, ადუღებდა წყალს და აკეთებდა შავ ჩაის.

მთელი მესამე დღის განმავლობაში და მეოთხე დღის სვამდნენ ჩაის. ღამე ქარი დაწყნარდა. გაყინული სიცივე გაჩერდა, ჰაერში სუნთქვა ჯანყად ამოდიოდა და ურასიდან ჩამჩით გადმოსხმულმა წყალმა ისეთი შავი იარა ამოსწვა თოვლში, როგორიც კეთროვანს აქვს სხეულზე. ირემები ტაიგაში წავიდნენ, სტუმრის შვილმა თოფი ჩამოიღო.

ექვსი შავი გაბრწყინებული თვალი ექვსი ბრტყელი სახის ვიწრო და მოგრძო ხვრელებიდან ძალღუსრი ალერსით შესცქეროდა სტუმრის შვილს და მის თოფს. სტუმრის შვილი მიუბრუნდა ვანიკოს:

— წავიდეთ.

და ორივენი გაეხვივნენ ტყავებში, გაიკეთეს თხილამურები, გამოვიდნენ ურასიდან და სტუმრის შვილმა დააყურა ირგვლივ. იქ, სადღაც მალლა, მთის ბროლივით ნათელ სივრცეში თრთოდა ქარი, და იაკუტის მახვილმა სმენამ გაიგონა ის.

— ქარი დაბრუნდა, — სთქვა მან, — ქარი ზღვისაკენ წავიყვანს. ხარაულის მთები გათავდა. ჩქარა ბადარანში<sup>1)</sup> ჩავალთ. მოახლოვებულია ჩვენი მგზავრობის დასასრული.

ბიკოვის კონცხს ბატების დაძვრამდის მივალწევთ, მამონტების საფლავზე გედებთან ერთად ჩავალთ და იმათ კვვრცხებს ვჭამთ.

სტუმრის შვილმა გამოიტანა ჩამჩით წყალი და გადაასხა ვანიკოს ზურგზე. ვანიკომ კი გადაასხა ზურგზე სტუმრის შვილს. წყალი ბევრვებზე წმინდა შუშის საფარით გაიყინა. ახლა ტანისამოსში ქარი ვეღარ გაატანდა.

სტუმრის შვილმა გაუღიმა ცის მყუდროებას, რომელიც მხოლოდ მას ურეკავდა და უმქდავებდა ქარბუქის მოახლოებას, გაიღო მხარზე თოფი და აიღო ხელში ჯოხები.

— ქარს მოჰყავს გაზაფხული და აქრობს ბადარანში თოვლს, ისე როგორც ბებრის თავიდან თმას, — გაიცინა მან. — გასწი ბადარანისაკენ, იქ ლოსები იქნებიან, ქარი სწყალობს იმათ და არ სჭირდებათ თოვლის ქექვა ირმის ხავსის საძებრად.

ვანიკოს გაუნათლდა ვიწრო ხვრელებში შავი თვალის გუფები, თვალები აენთო მონადირის სიხარბით. სტუმრის შვილი უკან მიჰყვებოდა, თხილამურებით მშრალი თოვლის მტვერს აყენებდა და ამბობდა:

— ახლა მე შენ გასწავლი, როგორ უნდა უყარაულო ლოსს და როგორ უნდა მოარტყა თოფი. დღეს ჩვენ შორს წავალთ. ზარმაცი სოხა, თუ მაძლარია, არასოდეს არ წაეა წინ. ისინი ჩვენ დაგველოდებიან დიდხანს და მაშინ კი ჩქარა წავლენ წინ. მე თუ ვერ დაებრუნდი მა-

მონტების სასაფლაოდან, შენ უფროსი იქნები, თუ ვინაა და უნდა არჩინო მამა და დედა.

— შენ უსათუოდ დაბრუნდები, — უთხრა ვანიკომ, — იმიტომ რომ შენ, სტუმრის შვილი, რუსებივით ეშმაკი და მოხერხებული ხარ. მაგრამ დედა ჩემი დაბადების მეთოთხმეტე გაზაფხულს ანგარიშობს. მე დიდი ვარ.

სტუმრის შვილმა გაიცინა, თვალები გაუბრწყინდა.

— ჰო, მე გასწავლი შენ თოფის ხმარებას და ნადირის დარაჯს. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ისე გეცხოვრა, როგორც რუსები ცხოვრობენ.

ვანიკომ სწრაფად შეხედა ძმას.

— რატომ?

სტუმრის შვილმა უკლო ნაბიჯს, მსუბუქად მისრიალებდა თხილამურით თოვლით დაფენილი ტრიალი მინდვრის ზედაპირზე.

ვანიკო კი ამბობდა:

— განა ცოტა მწუხარება მოგვაყენეს ჩვენ რუსებმა, არ გახსოვს, როგორ გვწვავდნენ ცეცხლოვანი წყლით? რამდენი სამური, მელა და წავი წავგართვეს სწორედ იმათ, რომლებსაც ღილები ზაფხულის ცხელ მზესავით უბრჭყვინავთ გულზე?

სტუმრის შვილმა გაიღიმა.

— რუსები უკვე აღარ იკეთებენ ბრჭყვიალა ღილებს. მეფეც მოჰკლეს, რომელსაც ისინი ემორჩილებოდნენ და რომელიც იაკუტებს სჩაგრადა.

სტუმრის შვილმა გადახედა ირგვლივ თოვლის თვალ-უწვდენ ზღვას, ასწია თავი მალლა, გაიშვირა გრძელი ჯოხები თოვლის დაუსრულებელი სივრცისკენ, რომელიც ჰორიზონტზე ლურჯ ცას უერთდებოდა, და წარმოსთქვა:

— რუსმა იცის, რატომ არის ცა ლურჯი, რატომ

მოდის თოვლი, როგორ გაჩნდა დედამიწა და განა არ გინდა იცოდე ცისაკენ მიმავალი გზა, ან დედამიწის ირგვლივ შემოსავლელი და იცოდე ისე კარგად, როგორც მდინარე მაიდან და აღდანის მალაროებიდან მამონტების სასაფლაოს გზა?

ვანიკო შესცქეროდა ძმას გაბრწყინებული თვალე-ბით. თხილამურები ნელა მისრიალებდა. უგდებდა ურს ძმას და სდუმდა. სტუმრის შვილი განაგრძობდა:

— შენ ხომ ნახე, როგორ ცხოვრობენ იაკუტები, რომლებიც პურს აკეთებენ. კარგად ცხოვრობენ. მხოლოდ თომუზები დაეხეტებიან ტაიგაში მშვიტი მგლებივით. იაკუტებმა თბილი იურტების<sup>1)</sup> კეთება დაიწყეს ურასების ნაცვლად და ცხოვრობენ ერთ ადგილას. ისე კი არა, როგორც ჩვენ, მოხეტიალე იაკუტები. მე წავიყვანე რუსი მეომრები ომიანობის დროს ტაიგაში, გზა ვაჩვენე მტრებისაკენ და მაშინ ბევრი რამ გავიგე.

სტუმრის შვილი დაჩუმდა მწუხარედ. ისინი მიდიოდნენ თოვლის სივრცეში. თეთრ სიწყნარეში ინთქმებოდა მთის ფერდობები და იქ, შორს, უკან მოსჩანდა ტაიგის უკანასკნელი მუქი ზოლი. ქარი აწყვდებოდა მათ შუშასავით გაყინულ ზურგს, მაგრამ ტანისამოსში ვერ ატანდა და უღონოდ შორდებოდა.

სტუმრის შვილმა თვალები დანაბა და თოვლში ნადირის კვალს დაუწყო ძებნა.

საღამო ნელა უჩრდილებოდ ახლოვდებოდა, როგორც თეთრი ღამის წინამორბედი. გრძელყურა ძალღე-

1) ბადარანი—ქაობი.

1) იურტა—ბინა.

ბი, რომლებიც ამდენ ხანს უკან მოდიოდნენ, უცებ დაწინაურდნენ და ყურები დაკვიტეს.

სტუმრის შვილმა დაუსტივინა ხანგრძლივი სტვენით. ძაღლები შეკრაენ, გაიქცენ თოვლის სივრცეში და ფხვიერი თოვლის მთელი გორები დააყენეს.

ჯერ კიდევ არ იყვნენ შორს წასულნი, რომ ხანგრძლივ სტვენასავით გამაფრთხილებელი, საყარაულო ღმუილი ასტეხეს.

სტუმრის შვილმა იქითკენ გასწია. ვანიკო ძლივს ეწეოდა ძმას. ძაღლები ჩასაფრებოდნენ ლოსს.

სტუმრის შვილი დააკვირდა ნაკვალევს და ნელი ხმით წარმოსთქვა:

— ნადირი ახლოს არის, ნელა წავიდეთ, სალამოს სიბნელეში შეგვიძლია ისე ახლოს მივიდეთ, რომ შენ შეგედლოს მოკვლა.

ბადარანი ტუნდრას ერთვოდა. ოღრო ჩოღრო ადგილებზე აქა-იქ შავად მოსჩანდა ბუჩქები. სტუმრის შვილი ეფარებოდა ჩრდილებს და თანაც თვალს არ აშორებდა ნაკვალევს.

ქარმა ნესტიანი ღრუბლები გადმოორეკა და სითბო მოჰბერა. შუშის გამჭვირვალე სალამო დამუქდა. სალამო ლურჯი ჩრდილებით დაეშვა ძირს.

სტუმრის შვილმა ფეხს მოუჩქარა. ძაღლები ეკვროდნენ მონადირეებს. ნადირი ძალიან ახლოს იყო.

მზე უცებ გამოსრიალდა ღრუბლებიდან და თოვლიან ლურჯ მთებს იქით გადავარდა. თოვლიან სივრცეზე ალივიღდა მეწამული სინათლე და მაშინვე სისხლივით წითელ თოვლის ფონზე მკვეთრად გამოისახა გატიტვლებული ბუჩქნარი და ბუჩქნარზე ძალაღი მოდარაჯე ლოსის ტოტებიანი რქები.

სტუმრის შვილი ნელა დაეშვა თოვლზე, ძაღლებმა ყურები გადიწყვეს. ვანიკომ თხილამურები მოიძრო.

სტუმრის შვილმა მოიძრო თოფი, გადასცა მას, გააცილა ბუჩქნარამდის და მსუბუქად წაჰკრა ხელი ზურგში. ვანიკო წელამდის თოვლში ჩაიფლა და წავიდა წინ, თოფი მალა, თავს ზემოთ ეჭირა და თითქმის მისცურავდა.

ძაღლები ხვნეშით მიჰყვებოდნენ მას ფხვიერ თოვლში.

სტუმრის შვილი ელოდა გაუძრევლად. ცივ ჰაერში გაისმა თოფის ხმა. ძაღლები ყფით გაჰქანდნენ ბუჩქებში.



ბუჩქებს იქით, ალისფერი ცისაკენ უცებ ტოტებიანი რქების მთელი ტყე აიყარა, მათ უკან გრივალევით ავარდა თოვლის ბრქვევიალა მტვერი და ჯოგი თვალს მოეფარა თოვლის



დ. კანდელაკი.

მტვერში თეთრ ველზე, სალამოს სიბნელეში. ვანიკომ დაიყვირა.

— მოვკალი!

სტუმრის შვილი გამოვიდა ძახილზე. ძაღლები წკმუტუნებდნენ მკვდარ ნადირთან. სტუმრის შვილმა აუჩქარებლად ამოიღო ქამრიდან დანა და დაიწყო ტყავის ხდავანიკო ეხმარებოდა გაბრწყინვებული თვალებით.

სტუმრის შვილმა პირველი ნაქერი მას მიაწოდა. ვანიკო ნელა ჰამდა და უცქეროდა ნადირის სისხლის წვეთებით თოვლში ჭრილობებივით შავ ლაქებად ჩახვრტილ ადგილებს.

— კარგად დაიწყე, — ამაყად უთხრა მას სტუმრის შვილმა — ორულგანის მთის ახალგაზრდა ირემია. მაგრამ იჩქარე შინ წასვლა, რომ დილაზე უკანვე დაბრუნდე ურასით, მშობლებით და ირმებით. ჩვენ ვეცდებით რაც შეიძლება ჩქარა შევაქამოთ შენი ნანადირევი ძაღლებს, რომ ჩვენ ნაკლები დაგვრჩეს, რადგანაც პირველსავე მზიან დღეს უნდა გზას გავუდგეთ, მაძლარი იაკუტი კი ადგილიდან არ დაიძვრის. გასწი.



ვანიკომ გაიკეთა თხილამურები, დაუსტივინა ძაღლს და წავიდა.

სტუმრის შვილმა დაავო თოვლზე ნადირის ტყავი, დასტოვა მკვდარ ნადირთან ყურცქვიტა ბებერი ქოთაკი და დაწვა.

მარტოდ დარჩენილი ძალღი ყმუილით აცილებდა თოვლიან სივრცეში უკვე შორს მიმავალ ვანიკოს. სტუმრის შვილი შესტკვროდა ცაზე ღრუბლიან მოციმციმე ვარსკვლავებს და ანგარიშობდა, თუ რამდენჯერ დასპირდება კედევ დასვენება, ფიქრობდა გაზაფხულის შესახებ. ესმოდა, როგორ წყნარდებოდა ღამე ქარი დედამიწაზე, როგორ მიიწევდა მალა-მალა და მიჰქონდა თან მძიმე ღრუბლები, როგორც მსუბუქი ბუმბული.

ძალღი დაიღალა წკმუტუნით, დაჩუმდა. სტუმრის შვილი გაეხვია ნადირის ახალ ტყავში და დაიძინა.

დილით ქარი ისევ დაეშვა დედამიწაზე. მან ჩამორეკა ღრუბლებიდან სინესტე და გაყინულ ნაპერწკლებად ჩამოჰყარა ძირს. ნაპერწკლები ნისლად გაეგო თოვლიან მინდორს და ამ ნისლში დიდხანს არ ჩანდა მოპაეალი ვანკო.

სტუმრის შვილი მოუთმენლად გასცქეროდა სივრცეს. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გაგზავნა გზისაკენ ძალი. ქოფაკი მიელაქუცა თავისი მგლის დინგით პატრონს, გაიგო, რაც უნდოდა და წამუტუნით და ყუფით გაიქცა.

სტუმრის შვილი დიდხანს ელოდა, ფიქრობდა იორებზე და ილანძღებოდა.

ზხოლოდ შუადღის შემდეგ თოვლიან ჯანყში ამოცურდნ ძილოები, შეძდევ ირმები და ნართები.

ეტლი მოჰქროდა. სტუმრის შვილმა გამოცდილი თვალებით დაათვალიერა ნართი, დაინახა, რომ მამა არ იჯდა შიგ, დედას და ძმას უკი პირი იქით მიუბრუნებიათ, არ უცქეროდნ მას, თითქოს ეშინოდათ მისი რისხვის.

სტუმრის შვილმა ერთი შეძახებით გააჩერა ირმები და ძაღლები. ვანიკომ სალაში მისცა მას, თვალები დახარა და შორს გაჩერდა.

— მამა სად არის? — იკითხა სტუმრის შვილმა, — რა მახეში შეიტყუეს იორებმა სნეული ირემი?

— მამა მაიას კვალს გამოუდგა! — უპასუხა ვანიკომ.

— სად იყო მაიას კვალი და რატომ გაუშვით გაცოფებული მგელი, — შეჰყვირა სტუმრის შვილმა.

დედა წამოდგა წინ:

— მაიამ საჩუქრები მომიტანა ღამე და ურასის კარებთან დამიტოვა. მამაშენმა სულ ნაკუწ-ნაკუწებად დასჭრა და მას ნაკვალევზე გამოუდგა ჩვენი შემარცხვენელის სამებრად!

სტუმრის შვილმა თავი ჩაღუნა და ყრუდ წარმო-სთქვა:

— ჩვენ თონუხების ქვეყანაში ემოჯუჯუჯობა არ არის. ღია მგლის დაბრუნება მინდვრიდან, სადაც აუარებელი მტერი უღარაჯებს. მესამე მზემდის დავუცდით.

დედამ მადლობის ნიშნად თავი დაუჭრა. ვანიკომ გამოხსნა ირმები. ძაღლები თათებით ეხმარებოდნ თოვლის გაწმენდაში. ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, რომ ურასა უკვე იდგა თავის ადგილას, კერაზე გუზგუზებდა ცქრიალით ცეცხლის ენები და ხორცი ნაზ სიმსუქნეს ნაკვერჩხლებზე ადნობდა.

სტუმრის შვილი ყურს უგდებდა მინელეული ქარის სუნაქვას, ნაღვლიანად უცქეროდა ცეცხლს და ამბობდა:

— მაიას ნაკვალევით იტყუებენ იორები ბებერ იაკუტს სიკვდილის მახეში. ის წავიდა, რომ მსხვერპლად შეეწიროს თავის ზნე-ჩვეულებას.

განა ასე არ კვდებოდნ ის უზარმაზარი ეშვებიანი ცხოველები იმ კუნძულზე, როველსაც ჩვენ ახლა მამონტის სასაფლაოს ვეძახით?

ბებერო მამონტო, გადამტვრეულთათებიანო მამაჩემო! — შენ ველოდ დაბრუნდები შენს ურასში! სიკვდილი დაგზვდება შენ გზაში ისე, როგორც დახვდა ის იმით, ვისი რქების 1) შოვნა ახლა ჩემი მგზავრობის მიზანია.

სტუმრის შვილმა თავი ძირს დახარა. უკანიდან საჭმლის დამშვიდებული ხრამუნი მოესმა და მოიხედა. დედამ მოწინებით მიართვა მას აორთქლებული ხორცის ნაჭერი. სტუმრის შვილმა ჩამოართვა და შეუდგა ჭამას. მისი სხეული იესებოდა საქმლისა და ცეცხლის სითბოთი და ძილის მყუდროებით.

6.

(დასასრული იქნება).

## საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია.

(პიონერთა შორის მომუშავეთა რესპუბლიკანური თათბირის გამო).

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში პიონერთა ორგანიზაცია არსებობს — 2 თუ 3 წელია, რაც ის ვითარდება და დღეს არ არის საქართველოს არც ერთი მნიშვნელოვანი კუთხე, სა-



დაც არ არსებობდეს პიონერთა კოლექტივი. პიონერები შეიქრნ ჩვენს მიყრუებულ სოფლებშიც და პატარა, ნორჩი ენერგიით თავდადებულად მუშაობენ სოფლის კულტურულად აყვავებისთვის, მისი წინსვლელობისთვის, ებრძვიან უვიცობას, სიბნე-

ლეს და სხვა. აქ აღსანიშნავია ის, რომ პიონერთა კოლექტივები, როგორც სოკოები, ისე აღმოცენდნ არა მარტო მოწინავე მაზრებში, არამედ ისეთ ჩამორჩენილ მაზრაშიც, როგორცაა სვანეთი. მთელს საქართველოში ითვლება 757 კოლექტივი 46,524 წევრით. სოციალური მდგომარეობით საქართველოს პიონერთა მთელს ორგანიზაციაში მუშის შვილებია 10,051, გლეხის — 27,376, სხვადასხვა — 10,097. ეროვნული შემადგენლობა: ქართველი — 25,801, სომეხი — 7,833, მუსულმანი — 1,503, რუსი — 4,007, ოსი — 2,837, აფხაზი — 1381, აჭარელი — 741, სხვადასხვა — 225. ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხება: ვალები — 27,880, ქალები — 17,644.

### რა მუშაობას აწარმოებენ პიონერები?

ორგანიზაციის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ის ეზრდება თვისობრივადაც: ყოველ პიონერს ახ-

1) იაკუტები მამონტების ეშვებს რქებს ეძახიან, არ იციან მისი მნიშვნელობა მამონტისათვის.

ქართული  
ბიზლიროთიკა



მ. კუზნეცოვა.

სოფს, რომ ის არის საუკეთესო ლენინელი, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა კლასის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასა და ბრძოლაში. ამ მხრით ჩვენი პიონერები თავდადებულად მუშაობენ და მიღწევებიც გვაქვს.—ჩვენს პატარა გამოცდილებასთან და იმ დროსთან შედარებით, რაც არსებობს ჩვენი ორგანიზაცია. პიონერების მუშაობას, მათ საერთო ამოცანებს განსაზღვრავს მუშათა კლასის და ლარიბი გლეხობის საერთო ბრძოლის ინტერესები. დღეს ჩვენი მუშები და გლეხები იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სასოფლო მეურნეობის აყვავებისათვის, ქალაქის მრეწველობის განვითარებისთვის, სოფლის და ქალაქის კულტურულად აყვავებისათვის. ჩვენი პიონერების მუშაობა აქეთკენაა მიმართული. გარდა ამისა ჩვენი პიონერები ეწევიან აღმზრდელიობით მუშაობას, სწავლობენ ლენინიზმს, სწავლობენ მას, თუ როგორ უნდა იბრძოლონ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისთვის. თუ თვალს გადავავლებთ პიონერების მუშაობას, დავინახავთ, რომ ბევრი მიღწევა გვაქვს, ბევრი გაგვიკეთებია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს უნდა მივაღწიოთ, ბევრი უნდა გავაკეთოთ.

**საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობა**


ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პიონერები მაშინ გახდებიან ნამდვილი ლენინელები, როდესაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. პიონერები მუშაობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორც არის რემდსი, საპაერო ფლოტის საზოგადოება, წერკუმსი



და სხვა. ეს მუშაობა გამოიხატება პრაქტიკული დაჯალბების შესრულებაში; მუშების და გლეხების ფართე მისაში აგიტაციის გაწევაში და სხვა. ვინ არ იცის, ჩვენს ქვეყანაში რამდენი ქვრივ-ობოლია, რამდენს კიდევ ვერ მოუწყვია ცხოვრება და როგორც საჭიროა, ისე ვერ ცხოვრობს. პიონერების მოვალეობაა — დაეხმარონ ასეთებს და, მართლაც, ჩვენი პიონერები დიდ დახმარებას უწყვენ მათ: აწყობენ შაბათობებს ქვრივ-ობლების დასახმარებლად, ბევრი ღარიბი ბავშებისთვის მატერიალურად დახმარებისთვის აგროვებენ საშუალებებს, პიონერები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე გზების და ხილების შეკეთებაში, ეხმარებიან გლეხობას საზოგადოებრივ სა-მუშაოთა მოწესრიგებაში. ამით, რა თქმა უნდა, თვითონაც ეჩვევიან შრომის და გლეხობის ნდობასაც იმსახურებენ. საჭიროა ეს დაწყებული მუშაობა მომავალში რაც შეიძლება უფრო გაღრმავდეს, საჭიროა, რომ პიონერებმა უფრო მეტი სერიოზულობით და ენერგიით განაგრძონ ამ დარგში დაწყებული მუშაობა.

**ოჯახში მუშაობა.**

პიონერებს კარგად უნდა ახსოვდესთ, რომ ოჯახში მუშაობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს; დღეს ეს მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ კოლექტივის მიერ გამართულ საღამოებზე მშობლების მოწვევით. პიონერი უნდა ცდილობდეს ოჯახში ახალი ყოფა-ცხოვრების შეტანას; დაწყებული მუშაობა უნდა გაღრმავ-



დეს. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი გზით: პიონერმა უნდა ადევნოს თვალი ოჯახში სისუფთავის დაცვას, უნდა დაეხმაროს მშობლებს პატარა ბავშვების აღზრდაში. მან მშობლებში უნდა ვასწიოს აგიტაცია სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროს, უნდა უკითხოს მათ ჟურნალ-გაზეთები, უნდა მიიწვიოს კოლექტივის მიერ გამართულ საღამოებზე და სხვა.

ღამოებზე, დემონსტრაციებზე, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში და სხვა. შემდეგ ეს ბავშვები ხდებიან პიონერები. მომავალში საჭიროა ეს მუშაობა კიდევ უფრო გავაღრმავოთ და პიონერ-კოლექტივის მუშაობაში ჩავაბათ რაც შეიძლება ფართო მასა შეუკავშირებელი ბავშვებისა. — ვის არ უნახავს ჩვენი ქალაქების ქუჩებზე მოხეტიალე უპატრონო ბავშვები, ვის არ უგრძენია სიბრაღული მათ დანახვაზე? ასეთი ბავშვები ათეულობით დაეხეტებიან ჩვენს ქუჩებზე. ჩვენი ამოცანა ყოველთვის მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ დავებმართო ასეთ ბავშვებს. პიონერთა ორგანიზაცია გულმოდგინედ მუშაობს უპატრონო ბავშვების დასახმარებლად. ჩვენ გვქონია არა ერთი და ორი შემთხვევა, რომ პიონერთა კოლექტივი თავის მზრუნველობის ქვეშ აყენებს ასეთ ბავშვებს. ჩვენ გვქონია შემთხვევები ასეთი ბავშვების სა-

ბავშო სახლებში მოთავსების, მაგრამ ამ მუშაობას უნდა მივცეთ არა შემთხვევითი ხასიათი, არამედ სისტემატიურად უნდა ვმუშაობდეთ. უნდა ვეცადოთ, ასეთ ბავშვებს მივცეთ თავშესაფარები, უნდა გავაღრმავოთ მათში აღმზრდელი მუშაობა, უნდა ჩავაბათ ჩვენი კოლექტივების მუშაობაში და სხვა. ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ ბავშვებზე მზრუნველობა არის მოზარდი თაობის აღზრდისთვის უდიდესი საქმე. მაშასადამე, ამ დარგში დაწყებული მუშაობა უნდა გავაღრმავოთ და ბოლოს და ბოლოს უნდა მოვსპოთ ასეთი უბედური მდგომარეობა.

**სკოლაში მუშაობა**

პიონერთა ორგანიზაციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის მუშაობაში, მან უნდა შეუწყოს ხელი ახალი სკოლის შენებას. სკოლაში მუშაობა ჩვენ გასულ წელს დაიწყეთ. სკოლაში პიონერები მუშაობენ ფორპოსტების საშუალებით. ფორპოსტი არის ამა თუ იმ სკოლის პიონერების გაერთიანება, რომ შეკავშირებულად გაატარონ პიონერული გავლენა მოწაფე ახალგაზრდობაზე. გასულ წელს ჩვენ ყველა სკოლებში არ გვქონდა დაარსებული ფორპოსტები. სადაც არსებობს ფორპოსტები, უნდა გავაღრმავოთ მუშაობა, იქ კი, სადაც არ არსებობს, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დავაარსოთ. ფორპოსტები არსდება ქალაქის სკოლებში. ფორპოსტის ამოცანას შეადგენს მოწაფეთა ჩაბმა გარემოცულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე ის, რომ მონაწილეობა მიადებინოს მოწაფეთა მასებს სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში. ფორპოსტის საშუალებით მოწაფეები კავშირს იჭერენ სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ფორპოსტი ხელმძღვანელობს მოწაფეთა წრეებს, უშვებს კედლის გაზეთებს, ჟურნალებს, აწყობს საღამოებს და სხვა.

**კოლექტივში აღმზრდელი მუშაობა.**

ჩვენი პიონერები აქტიურად მუშაობენ მისთვის, რომ განდენ საუკეთესო წევრები კომუნისტური საზოგადოებისა, განდენ მისი მშვენიერები და მომავალი ბრძოლებისთვის მძლავრკუნთებიანი მეტროლები. პიონერთა კოლექტივებში ტარდება საუბრები მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლების

**შეუკავშირებელ და უპატრონო ბავშვებში მუშაობა.**

უდიდესი ამოცანა, რომელიც იდგა და დღესაც დგას პიონერთა ორგანიზაციის წინაშე, არის შეუკავშირებელ არაპიონერ და უპატრონო ბავშვებში მუშაობა. შეუკავშირებელ ბავშვებში მუშაობას ჩვენ ვაწარმოებთ კოლექტივის მუშაობაში მათი ჩაბმით. აუარება ბავშვი — არაპიონერები — იღებს მონაწილეობას კოლექტივების მუშაობაში. ისინი ესწრებიან სა-



ისტორიაზე; ამით პიონერები სწავლობენ, თუ როგორ იბრძოდნენ მათი მამები მემამულეების და მეფის ყაჩაღური მთავრობის წინააღმდეგ. ტარდება აგრეთვე საუბრები იმ ბრძოლებზე, რომელსაც აწარმოებენ დღეს მუშები და გლეხები დასავლეთ ევროპაში. პიონერთა ორგანიზაციას არ ეპარება არც ერთი კამპანია, რომელსაც ატარებენ პარტია და კომკავშირი, მასში პიონერები იღებენ აქტიურ მონაწილეობას, ატარებენ აგრეთვე ამ კამპანიებს თავიერ ორგანიზაციაში. ჩვენ ჩავატარეთ კამპანიები: ბავშვთა საერთაშორისო კვირეული, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, რუსეთის კომკავშირის 7 წლის თავი, ოქტომბრის რევოლუციის 8 წლის თავი, საქართველოს კომკავშირის 8 წლის თავი და სხვა. პიონერები მართავენ თვითმოქმედებითს საღამოებს, სწავლობენ რევოლუციონურ სიმღერებს და სხვა. კოლექტივში არის დიდი წრეები, როგორცაა რადიომოყვარეთა წრე და სხვა; დრამატული და მომღერალთა წრეები არ არსდება, არ აქვს ადგილი კოლექტივში და რგოლებში; კოლექტივში არსებობს სხვადასხვა კომისიები, რომელშიც მუშაობას თვით პიონერები სწევენ. ასეთებია სამნეო, სანიტარული კომისიები და სხვა.

**კუთხეები.**

აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს კუთხეებს. პიონერთა კოლექტივები აწყობენ ლენინის, რემედანის, ავიოქიმიის




ა. ენუქიძე.

**პიკორები.**

კოლექტივი უშვებს კედლის გაზეთებს; მასში სწერენ პიკორები (პიონერ-კორესპონდენტების). პიკორთა მოძრაობა საქართველოში ძალზე განვითარდა. ისინი იკრიბებიან თავიანთი კედლის გაზეთების ირგვლივ წრეების სახით, სადაც სწავლობენ, თუ როგორ უნდა სწეროს პიკორმა; მათ საერთო კრებებზე უმართავენ აგრეთვე საუბრებს ძველი გამოცდილი გლეხკორები და მუშკორები. კედლის გაზეთის გამოშვებას ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია. პიკორები თანამშრომლობენ ჩვენს ცენტრალურ გაზეთ „ნორჩ პიონერში“. მომავალში პიკორებმა თავისი მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააღრმავონ და გააძლიერონ.

**ინტერნაციონალური აღზრდა.**

პიონერთა ინტერნაციონალურ აღზრდასაც დიდი ყურადღება ექცევა იმ მხრით, რომ მათ შეიყვარონ და იბრძოლონ არა მარტო თავისი ქვეყნის მუშების და გლეხებისათვის, არამედ მთელი ქვეყნის დაჩაგრულებისთვის. ჩვენ საბოლოოდ გავიმარჯვებთ



და სხვა კუთხეებს. ეს კუთხეები მით არის შესანიშნავი, რომ გამოხატავს კოლექტივის პრაქტიკულ მუშაობას, აღვიძებს და აძლიერებს პიონერებში თვითმოქმედებას.

მაშინ, როდესაც კისერს მოვტეხთ მსოფლიო ბურჟუაზიას. მუშათა კლასს ყველგან ერთნაირი ინტერესი აქვს, მან შეეთარებულნი ძალით უნდა იბრძოლოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამისთვის აქვს მუშა-



თა კლასს თავისი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. პიონერკოლექტივში ტარდება საუბრები ინტერნაციონალური ხასიათის, არის მიწერ-მოწერა საზღვარგარეულ ორგანიზაციებთან და სხვა.

**ფიზიკური აღზრდა.**

პიონერთა ორგანიზაციაში ფიზიკური აღზრდა შეფარდებულია პიონერების ორგანიზმის ჰარმონიულად განვითარებასთან. ფიზიკური აღზრდა ტარდება სხვადასხვა ვარჯიშობის და თამაშობათა სახით. ბავშვების მძიმე იარაღებზე ვარჯიშობა დაშვებული არ არის, რადგან ეს ასუსტებს ბავშვის ორგანიზმს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიონერების მიერ სანიტარული და ჰიგიენური პირობების შეთვისებას. ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ მოზარდი თაობის ფიზიკურად გამოჯანსაღება, უნდა შევასრულოთ საყვარელი ბელადის ილიჩის ანდერძი: „მომავალ ბრძოლებს ახალგაზრდობა უნდა შეხვდეს რკინისებური კუნთებით“.



**შრომითი აღზრდა.**

ჩვენ მოზარდი თაობა თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ შრომას; ამას პიონერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. პიონერების შრომითი აღზრდა

ჩვენს ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს სოფლის და ქალაქის დაახლოვება. ჩვენი პიონერებმა სალაგო მუშაობენ, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საშეფოკომისიებში, მიდიან სოფელში, იქ აწარმოებენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას (ქალაქის პიონერები); გარდა ამისა, ქალაქის პიონერებს ჰყავთ აყვანილი საშეფოდ სოფლის პიონერები, ამ უკანასკნელთა ეხმარებიან ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით და სხვა. მოჰყავთ სოფლის პიონერები ექსკურსიაზე ქალაქში, აგრეთვე თვითონაც მიდიან სოფელში, აწყობენ საღამოებს, გაერთიანებულ სხდომებს, კითხულობენ საუბრებს და სხვა. მომავალში ეს საშეფო მუშაობა ჩვენმა პიონერებმა კვლავ უფრო უნდა გააძლიერონ.

**პარტია, კომკავშირი და პიონერები.**

აი, სამი თაობა, რომელიც შეკავშირებულია და იბრძვის მუშათა კლასის განსათავისუფლებლად; მათ გვერდში უდგანან მშრომლების მილიონები. კომპარტია უწყევს პიონერებს საერთო ხელმძღვანელობას, კომკავშირი კი მათი (პიონერების) უშუალო ხელმძღვანელია. პიონერები აქტიურად არიან ჩამოყალიბებული კომკავშირის და კომპარტიის მუშაობაში. ყველა ეს თავდება მისი, რომ ჩვენ შევძლებთ გავარდვიოთ ჩვენს წინააღმდეგ მომართული ჩვენი მტრე-



ასეთია: სხვადასხვა სახელოსნოებში მუშაობა, საცდელ-საჩვენებელი ბაღების და მინდვრების დამუშავებაში მონაწილეობის მიღება, დახმარება გლეხობისადმი ხილების და გზების შესაკეთებლად და სხვა. ჩვენი პიონერები ამას შეძლებისდაგვარად ასრულებენ კიდევ. მომავალში მუშაობა კიდევ უფრო წინ წავა.

**შეფოხა.**

ჩვენ ვიცით, რომ ქალაქი და სოფელი ერთნაირ პირობებში არ ცხოვრობს. ქალაქში ცხოვრება უფრო დაწინაურებულია, ვიდრე სოფელში, დღეს

ბის ფრონტი და მტკიცედ შევასრულოთ ჩვენი ბელადის ილიჩის ანდერძები.

**დასკვნა.**

საქართველოში პიონერთა ორგანიზაცია მძლავრად ვითარდება. როგორც ჩვენ დავინახეთ, პიონერები ღრმა მუშაობას აწარმოებენ. ჩვენი ორგანიზაცია კიდევ უფრო უნდა განვითარდეს, მისი მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და გაჯანსაღდეს. ახლა ისეთი დროა, როდესაც რევოლუციის გუგუნი, მისი ჭეკა-ჭუხილი რისხვასავით თავს დაატყდება ბურჟუაზიულ ქვეყნებს, დაუწყდება მონო-

ბის ჯაჭვები და ბორკილები აღმოსავლეთის და დასავლეთის დაჩაგრულ ერებს და მუშებს! აი, ამ გუგუნისთვის, ამ ბრძოლისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ მზად ყველა მოზარდები უნდა გახდნენ პიონერთა ორგანიზაციის წევრები, უნდა შეისწავლონ ბრძოლა, უნდა ისწავლონ ცხოვრება, რომ განამტკიცონ მათი მამების მიერ სისხლით მოპოვებული თავისუფლება.

შ. ტ.

### ლენინ!

შენ აღსდები ცეცხლის კვერთხით,  
 მშრომელებს წინ გაუძეხი,  
 თუმც სალი კლდე დაგეჯახა,  
 შენ, ვით ვეფხვი, არ შესდები.  
 შენ ასწიე მაღალა დროშა  
 მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა.  
 მტერს მახვილი დააძგერე  
 შეუდრეკლად, მტკიცედ, მხნეთა.  
 სისხლის მსმელებს დაატაკე  
 მოელფარე ბასრი ხმალი.  
 გადისროლე მსოფლიოზე  
 ვულკანური ცეცხლის ალი.  
 შენ ბნელეთს ფრთა ჩამოგლიჯე  
 და ვასტეხე ნისლის რკალი,  
 შენ ქვეყანას მოველინე,  
 როგორც მძაფრი ქარიშხალი.  
 უსინათლო, ბნელი ღამე  
 გაანათე ჩირაღდანით,  
 ღრუბლის ქულა ბოროტება  
 გადასერე ბასრი დანით.  
 შენი საქმე ჩაუქრობი  
 ჩვენ ფრთებს გვასხამს, გვასალკლდევებს,  
 ლენინ! შენი სიძლიერე  
 მოგვაგონებს ზღაპრულ დევებს.  
 შენი დროშით, წითელ დროშით  
 წინ მივდივართ ერთად, მწყობრად,  
 მზიურ ყოფის შესაქმნელად,  
 მჩაგვრელთ კოშკის დასამხოზად.

შ. ქარიშხლიშვილი.

### წინამძღოლი და სკოლის ფორპოსტი

დღეს უკვე თითქმის ყველა სკოლაში მოწყობილია პიონერთა ფორპოსტი, რომელსაც ჰყავს თავისი პრეზიდიუმი და წინამძღოლი. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. საქმე ის არის, რომ გამოვარკვიოთ და დავსახოთ, თუ რა უნდა გააკეთოს ფორპოსტმა და მისმა წინამძღოლმა. ცხადია, რომ მოწაფეობაზე ვავლენის პოსაპოვებლად და ფორპოსტების მოსაწყობად საჭიროა თვით პიონერების ორგანიზაციის განმტკიცება, შემჭიდროება და მათში დისციპლინის დამყარება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწავლის საქმეს. საჭიროა თვით პიონერები მოეპყრონ სწავლას საკმაო შეგნებით და პასუხისმგებლობით, სწავლა მათი მოვალეობაა, არა მარტო როგორც მოწაფეების, არამედ როგორც პიონერებისაც. წინამძღოლის ყურადღებას ეს გატრეფობა არასოდეს არ უნდა გამოეპაროს. მეორე საგულისხმო საკითხია ფორპოსტისა და სკოლის თვითმართველობის დამყარება. არ ივარგებს, მაგალითად, რომ ფორპოსტმა სკოლის თვითმართველობის გარეშე გადასდგას რაიმე ნაბიჯი მოწაფეთა ცხოვრებაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს თვითმართველობასთან შეთანხმებით და მისივე მეშვეობით. პიონერ-ფორპოსტმა არ უნდა შესცვალოს სკოლის თვითმართველობა. პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს სკოლის თვითმართველობის სწორ და ფართე თვითმოქმედებას.

ფორპოსტის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე მოწაფეობასა და მასწავლებლებს შორის სწორი ურთიერთობის დამყარებას. მასწავლებლის გარეშე და მის დაუხმარებლად წარმოუდგენელია ფორპოსტის საქმიანობის წარმატება.

აი, ყველაფერი ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ ფორპოსტების წინამძღოლებმა. წინამძღოლების მხრივ სერიოზული დამოკიდებულება თავის მოვალეობისადმი აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ ფორპოსტის მუშაობა თავის სიმაღლეზე დავაყენოთ.

შ. კ.



# ლენინური კომკავშირის მიღწევა და მისი მომავალი მუშაობა

(საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მერვე ყრილობის გამოცემა)

20 თებერვალს გაიხსნება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მერვე ყრილობა.

მეშვიდე ყრილობიდან წელიწად-ნახევარზე მეტ-მა დრომ განვლო. ამ ხნის განმავლობაში კომკავშირმა მრავალ შედეგს მიახწია. მას ჯამს გაუკეთებს

ჩვენში კომკავშირს 8 წლის ისტორია აქვს. კომკავშირის პირველი ორგანიზაციები 1917 წ. დაარსდა. საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ეს ორგანიზაციები ფარულად მუშაობდნენ. მაშინ კომკავშირში 3.500 წევრი იყო. კომკავშირის ორგანიზაციები მხურვალე მონაწილეობასღებულბდენ გლეხობის აჯანყებებში, რომელიც მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამისთვის კომკავშირმა დიდი წამება განიცადა: ძველ კომკავშირელებს არ დაჰკლებიათ ციხე, ცემა, დახვრეტა, გადასახლება, მაგრამ ისინი მაინც არ უშინდებოდენ ამას და შეუპოვრად იბრძოდენ საქართველოში მუშურ გლეხური საბჭოთა მთავრობის დასამყარებლად.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კომკავშირმა თავისუფლად ამოისუნთქა. ამ დროიდან კომკავშირის მუშაობა უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა, კომკავშირის ორგანიზაციები საგრძნობლად გაიზარდა, მისი უჯრედებით ჩამორჩენილი სოფლებიც კი დაისერა.

თუ ფარული მუშაობის დროს კომკავშირი ორგანიზაციულ მუშაობაში იყო ჩაბმული, გასაბჭოებულ საქართველოში მის წინაშე წამოიჭრა საკითხი ახალგაზრდობის ფართო მასაში მუშაობის, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ინტერესების საქმით დაცვის, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობაში მხურვალე მონაწილეობის მიღების შესახებ.

კომკავშირი არის მასიური ორგანიზაცია, მასში დარაზმულია მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

კომკავშირი არის კომპარტიის დამხმარე ძალა. კომკავშირი არის მარაგი პარტიის, კომკავშირი ამზადებს ღირსეულ წევრებს პარტიისათვის.


კომკავშირსაც ჰყავს თავისი მარაგი ნორჩ პიონერთა კომორგანიზაციის სახით.

საქართველოს კომკავშირმა თავის მეშვიდე ყრილობაზე მიიღო სახელწოდება „ლენინური“. მართლაც, ის სწავლობს და ცხოვრებაში ატარებს ლენინის მოძღვრებას.

ამაში ნათლად დაგრწმუნდებით, როდესაც გავიცნობთ კომკავშირის ახლანდელ მდგომარეობას და მიღწევებს.

## კომკავშირის მიღწევები.

1924 წლის ივნისში კომკავშირში ითვლებოდა 17,237 წევრი. დღეს ითვლება 50 ათასი წევრი. მუშათა ახალგაზრდობა თითქმის მთლიანად კომკავშირის რიგებშია ჩაბმული.



ს. ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობის გამო. ცეკას პრეზიდიუმის წევრები: 1. გ. დარახველიძე. 2. არტ. გუშუჩიანი. 3. კ. კეკელია. 4. თ. გაბარაშვილი. 5. გობეჩია. 6. კორსაველი. 7. გვანცალაძე.

მერვე ყრილობა და მომავალ ამოცანებს დაისახავს. ვიდრე ამას გავიცნობდეთ, საჭიროა მოკლედ მაინც შევეხოთ საქართველოს კომკავშირის წარსულს და მის მიზან-დანიშნულებას.

მაგრამ მარტო ზრდა როდი კმარა; საქმე არა მარტო რაოდენობაშია, არამედ ხარისხში.

კომკავშირს ამ მხრივაც აქვს მიღწევები. წევრთა აღსაზრდელად არსებობს პოლიტიკური სკოლები, რომლებშიც კომუნისტურ ცოდნას იძენენ კომკავშირელები.

ცოდნა მაშინ არის კარგი, თუ ის საზოგადოებრივი საქმისთვის იქნება გამოყენებული.

ამასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კომკავშირელები არჩეული არიან და მუშაობენ საბჭოებში, გლეხკომებში, კოოპერაციაში. ამ საქმეებში მონაწილეობით კომკავშირის ორგანიზაციები ძლიერ ეხმარებიან ღარიბ გლეხებს და იცავენ მათ ინტერესებს.

კომკავშირში ადგილი არ აქვს უღირსს წევრს, რომელიც თავს აბეზრებს უპარტიოებს. კომკავშირის კარგი დამოკიდებულება აქვს უპარტიოებთან; ამიტომ ამაღლდა მისი სახელი.

სარწმუნოების წინააღმდეგ ძალდატანებითი ზომები მოისპო, ეს ნაკლი იყო. სამაგიეროდ კომკავშირი (ინტელიგენტებთან ერთად) ცოდნას ავრცელებს ხალხში და ამნაირად ებრძვის ცრუმორწმუნეობას.

კომკავშირი ამავე დროს არის მებრძოლი ორგანიზაცია. ამისთვის საკუარისია მოვიყვანოთ ის მაგალითი, რომ კომკავშირელები თავგანწირულად იბრძოდნენ იმ თავად-აზნაურების და ვაჭრების წინააღმდეგ, რომელნიც მენშევიკების ხელმძღვანელობით 1924 წლის აგვისტოში აჯანყდნენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოს გასაბჭოებამდის და შემდეგ ჩვენში არსებობდნენ ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციები, რომელნიც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მაგრამ ამ ახალგაზრდებმა დაინახეს, რომ საბჭოთა მთავრობა კარგია, დაინახეს, რომ მხოლოდ კომკავშირი იცავს მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებს და თავისი ნებით გამოვიდნენ თავისი ორგანიზაციებიდან და ისინი დაშლილად გამოაცხადეს. ამ ორგანიზაციის ყოფილი წევრებიდან ზოგიერთები კომკავშირში მუშაობენ, ხოლო დანარჩენები მასთან ერთად არიან და ქვეყნის აღმშენებლობაში არიან ჩაბმული. ამნაირად, ახლა საქართველოში არ არსებობს ახალგაზრდობის არავითარი ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყოს.

არსებობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ერთადერთი ორგანიზაცია—ლენინური კომკავშირი. ეს არის კომკავშირის დიდი გამარჯვება.

კომკავშირმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა: ქარხნებსა და

ფაბრიკებში მოზარდი მუშები 4 საათს მუშაობენ, ასაკით 14-დან 16 წლამდის, ხოლო 16-დან 18 წლამდის—6 საათს. მუშათა ახალგაზრდობის ჯამაგირი ძლიერ გადიდებულია წინანდელ დროსთან შედარებით, როცა მეფის და მენშევიკური მთავრობა ბატონობდა. მაშინ იჩაგრებოდნენ მუშები. ისინი დიდხანს მუშაობდნენ და ცოტა ჯამაგირი ეძლეოდათ.

ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მუშების ჯანმრთელობის დაცვას და უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნას ქარხნებსა და ფაბრიკებში.

სოფლად კომკავშირი იცავს მოჯამაგირეთა ინტერესებს.

მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისთვის, კომკავშირის მოთხოვნის შემდეგ, გაიხსნა ახალი სკოლები: სოფლის ახალგაზრდობის და საქარხნო—საფაბრიკო შვეიკრთა სკოლები. არის სხვა სასწავლებლებიც, სადაც ათასობით სწავლობენ ახალგაზრდები. კომკავშირი მონაწილეობას იღებს წითელი ჯარის გამაგრების საქმეში.

კომკავშირი შეფია (მზრუნველია) წითელი საზღვაო სამხედრო ფლოტის და მას უწყვეს დახმარებას.

კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს საერთოდ ახალგაზრდობის გაჯანსაღებას, ამიტომ ამრავლებს ფიზკულტურის წრეებს.

კომკავშირი ყოველდღიურად სცემს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს (ქართულად), აგრეთვე გაზეთ „ახალგაზრდა მუშას“ (რუსულად, კვირაში ორჯერ).

კომკავშირსა და მასწავლებლობას შორის წინეთ არ იყო კარგი დამოკიდებულება, უთანხმოებას ჰქონდა ადკილი, მაგრამ ეს უკვე აღმოიფხვრა. მათ შორის დამყარდა მეგობრული დამოკიდებულება და ისინი შეთანხმებულად მუშაობენ, მომავალ თაობას ერთად ზრდიან კომუნისტურად.

მასწავლებლებთან ერთად კომკავშირი დაუახლოვდა აგრონომებს, მათ იხმარებენ სასოფლო სამეურნეო ცოდნის შეძენის და გავრცელების საქმეში. დაუახლოვდა ექიმებს, მათ იხმარებენ ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

კომკავშირი მონაწილეობას იღებს სოფლად ქოხ-სამკითხველოების, ხოლო ქალაქად კლუბების მუშაობაში.

კომკავშირელები მუშაობენ ყველა ნებაყოფლობით საზოგადოებაში („რემედასი“ „წერკუმსი“, „ავიოქიშია“ და სხვა).

კავშირის მიზანი იყო, რომ თითოეულ კომკავშირელებზე თითო პიონერი ყოფილიყო. ეს შესრულებულ იქნა. ბავშთა კომორგანიზაციაში 50 ათასზე მეტი პიონერი ირიცხება. კავშირი ხელ-

მძღვანელობს ამ ორგანიზაციას და პიონერებს კომუნისტურად ზრდის. ეს გამოიხატება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაში, შრომითს და ინტერნაციონალურს აღზრდაში, ფიზიკურად გაჯანსაღებაში.

კომკავშირი ზრუნავს უბატონო ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომკავშირელები და პიონერებიც ენერგიულად მუშაობენ „უბატონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოებაში“.

საქართველოს კომკავშირი არ ივიწყებს, რომ საზღვარგარეთ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მდიდრების მიერ იჩაგრებიან კომკავშირელები და ყველა ახალგაზრდა მუშები. კომკავშირი ეცნობა მათ მდგომარეობას, ეხმარება მათ, მათთან აქვს მკიდრო კავშირი.

საზღვარგარეთ მდიდრები და გაქცეული მენშევიკები სახლპარო ჭორებს ავრცელებდნენ საბჭოთა მთავრობის და კომკავშირის სახელის გასატეხად, მაგრამ იქაურმა მოზრდილმა და ახალგაზრდა მუშებმა გამოგზავნეს თავისი დელეგატები ჩვენში. მათ დაწვრილებით დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკები; ამის შემდეგ უფრო დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა მშრომელებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს და კომკავშირიც კარგად მუშაობს.

ასეთია მოკლედ კომკავშირის მიღწევები. ახლა შევეხათ მომავალ ამოცანებს.

**მომავალი მუშაობა.**

როგორც ამდენ ხანს, ისე მომავალშიც კომკავშირი გაიზდება—მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე.

ძლიერ რთული საკითხია ამ წვერების ლენინური აღზრდა. კავშირმა თავის რიგებში უნდა გამოსჭედოს ახალი ქვეყნის ნამდვილი მშენებლები, ყოველმხრივ მომზადებულნი და ძველ ბოლშევიკებივით მებრძოლნი.

მშრომელ ახალგაზრდობას დიდი ლტოლვა აქვს განათლებისაკენ. კომკავშირმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობის ამ მოახონილების დაკმაყოფილებას.

კომკავშირმა უნდა გააძლიეროს თავისი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

არ უნდა მოიძებნებოდეს არც ერთი წევრი, რომელიც საზოგადოებრივ საქმეს არ აკეთებს.

კომკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივ-გლეხობის შეკავშირებას, საშუალო გლეხობის კარგ დამოკიდებულებას და ესენი ეკონომიურად უნდა შეებრძოლონ ბოზოლებს და ჩარჩ-ვაჭრებს. ეს უკანასკნელნი არ უნდა გაძვრენ არც ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციაში (საბჭო, გლეხკომი და სხვა).

ახალგაზრდობას სწყურია კულტურული გასართობები. კავშირმა ესეც უნდა დააკმაყოფილოს.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ცუდ ყოფაქცევას, ძველ ჩვეულებებს. ამ მიზნით საჭიროა აღმზრდელი მუშაობის გაძლიერება.

პიონერთა ორგანიზაციაში მეტ ყურადღებას აქცევენ გარეგნულ სახეს (ქუჩებზე მსვლელობას); ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. კომკავშირმა კარგი ხელმძღვანელები უნდა მოამზადოს, რომ პიონერები შესაფერად აღიზარდონ. სკოლებში მოწაფეთა შორის პიონერთა მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

აგრეთვე კომკავშირის ერთ-ერთი რთული ამოცანაა ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის გაფართოება და გაძლიერება. ახლა კომკავშირში 7 ათასი ახალგაზრდა ქალი ითვლება; ეს არ არის საკმარისი; ახალგაზრდა ქალთა რაოდენობა 50%-დის უნდა გაიზარდოს.

კომკავშირი მომავალშიც დიდ ყურადღებას მიაქცევს უპარტიო ახალგაზრდობაში მუშაობას; მას ჩააბამს საზოგადოებრივ მუშაობაში და შემოიკრებს თავის გარშემო.


აი, ასეთი რთული ამოცანებია კომკავშირის წინაშე, მაგრამ მერვე ყრილობა, რომლის დღის წესრიგში სდგას ეს საკითხები, დადებითად გადაწყვეტს მას და უზრუნველყოფს კომკავშირის მომავალ ახალ გამარჯვებას.

საქართველოს კომკავშირს ორგანიზული კავშირი აქვს ამიერკავკასიის და რუსეთის კომკავშირთან; მათი ყრილობებიც ახლო ხანში იქნება მოწვეული და ჩვენი კავშირიც მიიღებს მონაწილეობას.

ამნაირად, მთელი საბჭოთა კავშირის ლენინური კომკავშირი ყრილობებზე ითვალისწინებს განვლილ მუშაობას და ისახავს მომავალ ამოცანებს.

ეს ყრილობანი მრავალ მნიშვნელოვან დადგენილებას გამოიტანენ. ამ ყრილობის მსვლელობას თვალყური უნდა ადევნონ ყველა პიონერებმა, ყველა მოზარდებმა და ახალგაზრდებმა.

უ. ფრან—ლი.





## საუბარი 1905 წლის შესახებ.

### 1. რუსეთი მეცხრამეტე საუკუნეში.

#### გამოგონებათა საუკუნე.

აღბათ ყველას გაგიგონიათ, რომ მეცხრამეტე საუკუნეს გამოგონებათა საუკუნეს უწოდებენ.

ასე მას უწოდებენ იმიტომ, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთს მისდევდა უდიდესი აღმოჩენები ტექნიკის სფეროში. ეს აღმოჩენები დაიწყო მე-18-ე საუკუნის დასასრულს.

წინათ კი ადამიანებმა არ იცოდნენ არავითარი მანქანები, ხმარობდნენ მხოლოდ უბრალო ხელსაწყოებს. ყოველგვარი მუშაობის შესრულება ხდებოდა ხელით; მანქანა კი ამოკლებს მუშაობას და აადვილებს მას. ყველა ეს აღმოჩენები ხდებოდა არა ჩვენში, არამედ საზღვარგარეთ.

1769 წელს ინგლისელმა უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, რომელიც საფეიქრო წარმოებაში გამოიყენეს. 1870 წელს სტეფენსონმა გაიყვანა პირველი რკინის გზა ლივერპულსა და მანჩესტერს (ინგლისში) შორის; 1846 წელს ხმარებაში შევიდა საქსოვი მანქანა.

ცხოვრება ახმაურდა. დაიწყეს აშენება უდიდესი ქარხნების და ფაბრიკების, აგებდნენ რკინის გზებს, სთბრიდენ არხებს, გაშენდა მსხვილი ქალაქები, სადაც სოფლებიდან მიეშურებოდა უამრავი ხალხი, ინგლისში, მაგ. საჭიროება აიძულებდა გლეხებს—

დაეტოვებიათ თავისი მიწები. მემამულეებმა დაუწყეს დევნა გლეხებს მიწებიდან, რადგანაც ის მათ ესაჭიროებოდათ ცხვრების მოსაშენებლად. ცხვრების მატყლს ისინი აგროვებდნენ და აზაფნიდენ ფაბრიკებში სხვადასხვა შალეული ქსოვილებისათვის.

ათასეული ბრბო უსახლკარო ბავშვებისა ქარხანა-ფაბრიკებში მიეშურებოდა ლუკმაპურის საშოვნელად, სადაც მათ სრულიად უმნიშვნელო ფასებში ისაკუთრებდნენ მეფაბრიკეები.

#### ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

რა ხდებოდა ამ დროს რუსეთში?

რუსეთი მაშინ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მხარეს წარმოადგენდა: აღმოჩენების შესახებ მან არაფერი არ იცოდა, არავითარი ტექნიკა მას არ ჰქონდა შემოღებული.

1864 წლამდე რუსეთში ბატონყმობა არსებობდა: ყველა გლეხები იყვნენ მემამულეების საკუთრება, მათი ყმები. რასაც მოისურვებდა მემამულე, იმას უშვებოდა თავის ყმებს—აიძულებდა მათ ემუშავათ მთელი დღეები მის სასარგებლოდ. ეს კიდევ ცოტაა. ბატონი თუკი მოისურვებდა, კიდევ სცემ-

და, სტანჯავდა, გაყიდდა, გააჩუქებდა თავის ყმას ისე, როგორც, მაგ. ძალღს.

1864 წ. გამოქვეყნებულ იქნა მეფის მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ. მხოლოდ ქალაქებში შესცავლა მეფემ ბატონყმობა, გაათავისუფლა გლეხები ბატონებისაგან, სინამდვილეში კი გლეხებს არავითარი თავისუფლება და მიწა არ მიუღიათ.

და, აი, სწორედ ამ დროს რუსეთს ესტუმრენ უცხოელი კაპიტალისტები: გერმანიიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან და სხვ. მათ ბევრი ფული ჰქონდათ. აგრეთვე მათ ჰქონდათ თავისი მანქანები, ხოლო მუშა-ძალას კი ისინი ქირობდნენ ადგილობრივ, რუსეთში, ძლიერ დაკლებულ ფასებში. გლეხები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმიწაწყლოდ იყვნენ დარჩენილი და ყოველგვარ პირობებზე თანხმდებოდნენ, ოდონდაც სამუშაო ემოვნათ.

რუსეთში დაიწყეს ქარხნების და ფაბრიკების აშენება, გაიზარდა ქალაქები, გაჰყავდათ გზები და სხვა.

ჩვენი ნავთი, სხვადასხვა მადნეულიანი ადგილები ხელში ჰქონდათ ჩაგდებული უცხოეთის კაპიტალისტებს.

ქარხანა-ფაბრიკებს აშენებდნენ რუსეთის მრეწველებიც, მაგრამ ხაერთოდ წარმოების ნახევარზე მეტი უცხოელების ხელში იყო თავმოყრილი.

**როგორ ცხოვრობდნენ მუშები.**

გლეხები დარჩენ უმიწოდ; სხვა საარსებო საშუალება მათ არ გააჩნდათ და ისინი იძულებული იყვნენ ქალაქებისათვის მიემართათ, სადაც ამ დროს საფაბრიკო-საქარხნო წარმოება იკიდებდა ფეხს.

კაპიტალისტებისათვის კი ეს მდგომარეობა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო — ის აიაფებდა მუშათა შრომას, სამუშაო ხელფასი ისე მცირე იყო, რომ ნახევარჯერ მუშებს შიმშილობა უწევდათ, მაშინ, როდესაც მათ აიძულებდნენ განუწყვეტლივ მუშავათ 12—14—16 და ზოგჯერ 18 საათიც კი.

ყოველ ქარხანას ჰყავდა თავისი ზედამხედველები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მუშებს, რათა მათ არ დაესვენებიათ, არ მოეწიათ თამბაქო და სხვ. მუშაობის დროს თუნდაც მცირედი შეცდომისათვის მათ უკავებდნენ ჯამაგირიდან დიდ ჯარიმებს და ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ სამუშაო ქირიდან არაფერი აღარ რჩებოდა მუშებს. ღდა თუ ასეთ შემთხვევაში რომელიმე მუშა გაბედავდა შელაპარაკებას, წინააღმდეგობის გაწევას, მაშინ მას ხელად აჯანყებულის სახელწოდებით ნათლავდნენ და ან ქუჩაში გამოადგებდნენ, ან სატუსაღოსაკენ გაუყენებდნენ.

მრისხანებდნენ მეფაბრიკეები თვით ქალებზეც და ბავშვებზედაც კი: აიძულებდნენ მათ ემუშავათ მეტად მძიმე სამუშაოზე, დღისითაც და ღამითაც, შეურაცხყოფას აყენებდნენ, სცემდნენ მათ.

**არც გლეხები ცხოვრობდნენ უკეთესად.**

როგორ ცხოვრობდნენ ის გლეხები, რომლებიც არ წავიდნენ ქარხანა-ფაბრიკებში?

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მეფის მთავრობამ და მისმა დამქაშებმა თავისთვის დაიტოვეს 145 მილიონი დესიატინა მიწა, 9 მილიონი მისცეს მინისტრებს, 102 მილიონი დაუტოვეს მემამულეებს.

25 მილიონ გლეხს კი სულ 112 მილიონი დესიატინა მიწა ერგო.

ამ მიწის თავისუფლად დაკავება არ შეეძლოთ გლეხებს: თავდაპირველად მათ უნდა გადაეხადათ გამოსაყიდი ფული და შემდეგ უნდა აეღოთ იჯარით.

გადასახადებს აწესებდნენ მეფის მოსამსახურეები მემამულეებთან ერთად. გლეხებს, კანონის თანახმად, უნდა გადაეხადათ 648 მილიონი მანეთი, შეაწერეს კი 867 მილიონი მანეთი. აი, როგორი წესები არსებობდა!

გლეხებს დარჩენოდათ ერთი გამოსავალი გზა: მემამულეთაგან გამოეყიდათ მიწები. ამით კი დიდად სარგებლობდნენ მემამულეები. 1900 წლის შემდეგ პურის ფასი უცხოეთში თანდათან მატულობდა; ამითაც ისარგებლეს მემამულეებმა და მათ მოუმატეს გადასახადები მიწებს: თუ წინა დესიატინა 145 მან. ფასობდა, შემდეგ ის უკვე 207 მან. აიყვანეს.

სოფლებში ადამიანები პირდაპირ ხმებოდნენ შიმშილისაგან. ასევე შიმშილობდნენ გლეხები ქალაქებშიც. გლეხები და მუშები მიჰყავდათ ჯარში და ალბობდნენ მათ ყაზარმებში. მათ ბავშვებს არ აძლევდნენ საშუალებას, ესწავლათ სკოლებში. ამ დროს კი მდიდრები ატარებდნენ უსაქმურ, განცხრომიან ცხოვრებას და სისხლს სწოვდნენ მშრომელ ხალხს.

მუშების და გლეხების უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ისინი ნათლად იგნებდნენ, რომ მხოლოდ თავისი ხელებით მოიპოვებდნენ ადამიანურ უფლებებს, მოიშორებდნენ თავიდან მუქთახორათა ბატონობას.

**რუსეთ-იაპონიის ომი.**

როგორც 1917 წ. რევოლუციის წინ, ისე 1905 წ. რევოლუციის წინაც იყო ომი. რუსეთის მდიდრებს, თავადებს და ვაჭრებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ



შორეული აღმოსავლეთის მდიდარი მიწები, რისთვისაც მათ ომი დაუწყეს იაპონიას.

მეფის მთავრობა გახარებული იყო ამ ომით. მუშებს და გლეხებს წაიყვანდნ ჯარისკაცებად და გადენიდნ ომის სასაკლოზე, ფრონტზე, სადაც ისინი იფიქრებდნ არა თავის საქროებაზე, გაჭირებაზე, არამედ სამშობლოს გადარჩენაზე, დაცვაზე.

და, აი, რუსეთის მუშები და გლეხები გადენეს შორეულ აღმოსავლეთში მდიდრების კეთილდღეობის დასაცავად,

მეფის მთავრობა, რომელიც აგზავნიდა ჯარს ომში, სრულიადაც არ ფიქრობდა მათ ჩაცმაზე და ხშირად შეიძლებოდა დანახვა, თუ როგორ დადიოდნ ჯარისკაცები ფრონტზე წასვლის წინ სახლებში, რომ მოვეგროვებიათ საგზაოდ ფული და სურსათსანოვაგე.

ხალხში და ჯარისკაცებში ყოველთვის ანთებდნ საომარ ცეცხლს: იაპონია ასეთი პატარაა, რუსეთი კი დიდი, სად შეუძლიათ იაპონელებს ჩვენთან ომი! რომ ყველა რუსებმა მოვიხადოთ ქულები, ჩვენ შეგვიძლია დავმარცხოთ იაპონელები მარტო ქულების სროლით, — აი, ასეთი სულიერი განწყობილებით აგზავნიდა მთავრობა რუსეთის ჯარს ომში.

მეფის გენერლები ცდილობდნ რელიგიური ბურუსით მოეცვათ ჯარისკაცები, ზარბაზნებისა და ყუმბარების მაგივრად, ჯარისათვის საზრდოსა და ტანსაცმლის ნაცვლად ფრონტზე გზავნიდნ ხატებით გასილ რონოდებს — ჯარისკაცთა გასამხნეველად ბრძოლის საშინელ ქარცეცხლში.

იაპონელები არც ისეთი ქულები და სულელები აღმოჩნდნ, როგორც მათ დახასიათებას ცდილობდნ გენერლები. ისინი მშვენივრად იყვნნ მომზადებული ბრძოლისათვ, ისინი კარგად აქმევდნ და აცმევდნ თავის ჯარისკაცებს, ჯარისკაცებმა კარგად იცოდნ თავისი საქმე, თითქმის ყველა იყო წერაკითხვის მცოდნე. და, როდესაც ბნელი რუსის მეფის ლაშქარი შეხვდა იაპონელებს, რუსები ზედიზედ მარცხდებოდნ, მარცხდებოდნ მანამდე, სანამ 1904 წლის დეკემბრის დამლევს არ ჩააბარეს იაპონელებს პორტ-არტური, რომელიც მიუდგომელ სიმაგრედ ითვლებოდა.

**ეროვნული ჩაგვრა.**

განაპირა დაპრობილ მხარეებში ამ კლასობრივ ჩაგვრას ეროვნული ჩაგვრაც ემატებოდა. დაპრობილი ქვეყნები, როგორცაა, მაგ, ჩვენი საქართველო, ადერბეიჯანი, სომხეთი და სხვა, შეუბრალებ-

ლად იჩაგრებოდნ მეფის მთავრობის ყოველშეწყობილ რალო მოხელისაგანაც კი. მათი ბატონობის ქვეშეობის საზღვრელი იყო. ეს მდგომარება ამ დაპრობილ ხალხებს რევოლუციონური ბრძოლის გზაზე აყენებდა.

**სისხლიანი კვირა**

მუშები და გლეხები ხედავდნ თავის მძიმე მდგომარეობას; ისინი ეძებდნ გამოსავალ გზას. პირველ ხანებში მათ ასეთ გზად მიაჩნდათ მაინც მეფე, ეგონათ, რომ, თუ მას თხოვნით მიმართავდნ, შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება. იყო აგრეთვე მუშათა წრეები იყვნნ სოციალისტები, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შეიგნეს, რომ მეფის მთავრობა არასდროს არ დაეხმარება მშორომელ ხალხს და ამიტომ ის უნდა მოვიშოროთ თავიდან და მის მაგივრად უნდა დაარსდეს ხალხური მართველობა, მუშურ-გლეხური ხელისუფლებაო, მაგრამ მუშების უმეტესობამ ვერ შესძლო გაეგო, თუ რას წარმოადგენდა მეფის მთავრობა. მათ კიდევ სჯეროდათ, რომ მეფე მათი მამაა და თუ მას გააცნობნ, თუ როგორ სჩაგრავენ მათ მოხელეები, მაშინ მეფე მიიღებს ზომებს მათი ცხოვრების და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ დროს ლენინგრადში გამოჩნდა მღვდელი გ. გაპონი როგორც შემდეგ გამოირკვა, ის იყო მთავრობის ჯაშუში.

ის დიდად არწმუნებდა მუშებს, მეფეს უყვარს თავისი ხალხი, უყვარს მუშები და გლეხები, ისინი თვით უნდა მივიდნ მასთან, ყველაფერი უამბონ და მაშინ ყველაფერი მუშების სასარგებლოდ დასრულდებაო.

და კვირას, 9 იანვარს (22 იანვარს ახალი სტილით), მუშები ცოლებით და შვილებით თხოვნით გაემგზავრნ მეფესთან. ამ მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა 200,000 კაცი. მოედანი მეფის საზამთრო სასახლესთან და ახლო მდებარე ქუჩები ჯარის ნაწილებით იყო დაკავებული.

ნარვის შესავალთან მუშებს შეხვდნ ჯარისკაცების და ყაზახების რაზმები, რომლებმაც გადაუჭრეს მუშებს გზა და დაუწყეს მათ სროლა.

უშენდნ უიარალო ხალხს. მანიფესტანტების ერთი ნაწილი, მიუხედავად ტყვიის დაშენისა, წავიდა წინ და ცდილობდა მიეხწია სასახლის მოედნამდე, მაგრამ მათ აქაც დახვრეტით გაუმასპინდლდნ.

ამ დღეს მოკლულ იქნა 1,216 კაცი. და კრილ იქნა დაახლოებით 5,000 კაცი.

ასე დასრულდა ლენინგრადში 9 იანვარი, დღე, რომელმაც საბოლოოდ დაარწმუნა მშრომელი ხალხი

ხი, რომ მეფესა და მათ შორის დიდი ზღვარია, რომ არავითარ თანამშრომლობაზე, მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, სანამ ხალხს მეფე და მისი მოხელეები განაგებენ.

**რა სტეჟა კომუნისტურმა პარტიამ 9 იანვრის შესახებ.**

ლენინგრადის კომიტეტმა ბოლშევიკური პარტიისა თავის საიდუმლო სტამბაში გამოუშვა მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც უხსნიდა მათ, თუ რა შეცდომა ჩაიდინეს, როდესაც მეფესთან მოწყალების სათხოვნელად მიდიოდნენ:

„თქვენ მიდიოდით მეფესთან თქვენი უფლების მოსაპოვებლად, — მაგრამ ის თქვენ შეგხვდათ თოფების და ქვემეხის სროლით, მახვილის წვერით!..“

თქვენ სთხოვეთ მას პური და მუშაობა, მაგრამ ის გახურებული ტყვიებით გაგიმასპინძლდათ.

განა ჩვენ, სოციალ დემოკრატები (ბოლშევიკები), არ გეუბნებოდით, რომ სისხლის მსმელი მეფისაგან ვერაფერს მოიპოვებთ, რომ ის არის ხალხის არა მეგობარი, არამედ მტერი და რომ ის მოქმედებს არა ხალხის, არამედ თავისი დამქაშების სასარგებლოდ? დახოცილები... დაჭრილები!.. ისინი ასობით, ათასობით არიან!.. შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს ის გვამები, რომლებსაც თქვენ ახლა ატარებთ ქუჩებში... ახლა მაინც შეიგნეთ და შემოიკრიბეთ ჩვენი წითელი დროშის ქვეშ!.. იარეთ ქუჩებში და მოახერხეთ, რომ ყველგან შეწყვეტილი იქნას მუშაობა, რომ ყველა მოქალაქეები, როგორც ერთი ადამიანი, აღდგენ იარაღით ხელში მეფის წინააღმდეგ, მთავრობის წინააღმდეგ. გადაეციეთ ჯარისკაცებს ჩვენი ფურცლები და მოითხოვეთ, რომ მათ უარი განაცხადონ ხალხის წინააღმდეგ სროლაზე...“

ძირს მეფე!

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დაუფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატებს!“

ცნობა მუშათა დახვედრის შესახებ, როგორც ელექტრონის ჩქერი, ისე გავრცელდა მთელ რუსეთში და მის განაპირა უბნებში, და მუშათა გულში დაანთო რევოლუციონური ბრძოლის ცეცხლი.

ბრძოლა სისხლის მსმელი მეფის წინააღმდეგ! ბრძოლა მატყუარებისა და მჩაგრველების წინააღმდეგ — აი, ამ აზრით განიმსჯალა მთელი მუშათა კლასი. დაიწყია გაფიცვები. გაიფიცნენ ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ქალაქების მუშები დახვედრის პროტესტის აღსანიშნავად. მეორე მხრით თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებ-

ლად გაფიცულმა მუშებმა წარუდგინეს მოთხოვნები ქარხანა-ფაბრიკის გამგეებს; მუშები მოითხოვენ სამუშაო ქირის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას, მოითხოვენ, რომ უფროსები მუშებს ადამიანურად ეპყრობოდნენ.

გაფიცვები მოედვა თითქმის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებს, როგორცაა, მაგ. რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა.

გახშირდა შეტაკებები, სროლა მუშებსა და პოლიცია-ჯარს შორის. ხშირი იყო მსხვერპლიც. მაგრამ მუშები მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას.

ბრძოლის ფერხულში საქართველოს და ამიერკავკასიის (ბაქო, განჯა და სხვა) მუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინიც სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ მეფის მთავრობას და მის მოხელეებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ავიწროებდნენ და სჩაგრავდნენ დაპყრობილ ხალხებს.

**გლეხებიც იწყებენ ბრძოლას.**

ჩვენ უკვე შევხვით, თუ როგორ მიძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება გლეხებსაც. მას შემდეგ, რაც რუსეთის სამრეწველო ადგილები რევოლუციის აღმა მოიცო, გლეხებიც ამოძრავდნენ, მათაც მიიტანეს იერიშები საუკუნეებით ნჩაგვრელი მემამულეების წინააღმდეგ.

გლეხები სწვავდნენ და ანადგურებდნენ მემამულეთა საცხოვრებელ ადგილებს, მათ მიწებს თვითონ ისაკუთრებდნენ და სხვა. მაგრამ მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობდა გლეხთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პირიქით, გლეხების წინააღმდეგ იგზავნებოდნენ დამსჯელი რაზმები, კაზაკები, რომლებიც შეუბრალებლად ეყრობოდნენ აჯანყებულ გლეხებს. მათ დასწვეს და განადგურეს მაგ. ოზურგეთი, ზესტაფონი, ხარაგაული და სხვა ადგილები საქართველოში, ხოლო რუსეთში და სხვა განაპირა ადგილებში კი ვინ ჩამოსთვლის.

**მუშათა დეპუტატების საბჭოები.**

რევოლუციის ქარ-ცეცხლში, როდესაც მეფის მთავრობა დაიბნა და ფაქტიურად არ შეეძლო ხელში აეღო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე, ლენინგრადში იქმნება მუშათა რევოლუციონური მართველობა: ლენინგრადის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც შესდგებოდა მუშათა წარმომადგენლებისგან (500 კაცზე ერთი წარმომადგენელი).

ეს საბჭო რამოდენიმე ხნის განმავლობაში ითვლებოდა ლენინგრადის სრულ ბატონ-პატრონად.

ის კრძალავდა იმ გაზეთებს, რომლებიც მთავრობას ემხრობოდა.

### მეფის მანიფესტი.

მთელ რუსეთში მინელდა ცხოვრება. მეფის მთავრობას უნდოდა კვლავ ჩაეკრო მუშათა სისხლით რევოლუციონური ცეცხლი, რომელიც გუზგუზებდა მთელს მხარეში. მაგრამ არც ისე ადვილი საქმე დარჩა ეს. მთავრობა იძულებული დარჩა დათმობაზე წასულიყო და 17 ოქტომბერს მეფემ გამოსცა თავისი მანიფესტი. ის დაჰპარდა ხალხს თავისუფლების მინიჭებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელშიაც თვით ხალხის წარმომადგენლები შეიმუშავებდნენ და გამოსცემდნენ კანონებს.

მართალია, მეფე ბევრ რამეს დაჰპარდა ხალხს, მაგრამ მიცემით კი არაფერი არ მიუცია, საბჭომ გამოაცხადა კრების თავისუფლება და მისი ბრძანების თანახმად პოლიციელებს ნება არ ჰქონდათ დასწრებოდნენ მუშათა კრებებს. საბჭომვე შემოიღო რევოლუციონური წესით ქარხანა-ფაბრიკებში 8 საათის სამუშაო დღე.

### თვითმპყრობელობის გამარჯვება.

თვითმპყრობელობამ მოიკრიფა თავისი უკანასკნელი ძალები და აჯანყებული ხალხის ტაღლები მოწოლა დაიმსხვრა მის ქვის სიმაგრეზე.

ამ უთანასწორო ბრძოლაში მუშათა კლასი დამარცხდა, რევოლუცია ჩაქრა, მაგრამ მუშათა გულში მაინც ღვიოდა ბრძოლის, წინსვლის ცეცხლი. მუშათა კლასი მძიმედ დასჭრეს, მაგრამ ის არ მომკვდარა, არ დაღუპულა.

თორმეტი წლის შემდეგ, 1917 წელში, ის კვლავ აღსდგა და საბოლოოდ გაუსწორდა თავის მჩაგვრელებს.

შ. შე—ლი

## 27 თებერვალი.

რუსეთის ველებს  
სისხლი სდიოდა,  
გული დაჭრილი  
ბოლშას ვერ იტევს.

ტყვიის ზუზუნი  
ცას გაჰკიოდა,

ცა ცეცხლიანი  
დროშად გაჰკიდეს.

რამდენი დედა  
გულს იკაწრავდა,  
რამდენი გული  
ტყვიამ გაჩეხა,

შურისძიება,  
ცამდის აწვდილი,  
სასახლეებზე  
დაეცა შეხად;

და ოცდაშვიდი  
თებერვლის თვეში,  
როცა ყინვები  
ქუჩებს აპობდა,

თბილი სასახლის  
მყუდრო უბეში  
რევოლუცია  
შეიქრა მედვრად!

გადმოანგრია  
ხავსის კედლები  
უამრავ წლების  
რიცხვის ზვინებად,

ველარ შველიდა  
ბებერს ვედრება —  
ცეცხლის ენები  
ზღვად ეფინება

შინდის დროშებში  
ქალაქს გახვეულს.  
თავისუფლების  
წარწერით, მოსჩანს,  
წითელ პერანგებს,  
ოფლით დახეულს —  
გლეხებს სარებით  
გამოაქვთ დროშად.

რუსეთის ველებს  
სისხლი სდიოდა,  
გული დაჭრილი  
ბოლშას ვერ იტევს.

ტყვიის ზუზუნი  
ცას გაჰკიოდა,  
ცა ცეცხლიანი  
დროშად გაჰკიდეს.

# დეკემბრის გვირგვინი 1825—1925

დეკაბრისტები! ვის არ გაუგონია ეს სახელი რუსეთის პირველი რევოლუციონერებისა?

წელს სრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც დეკაბრისტები გამოვიდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რათ ჰქვიან მათ დეკაბრისტები?

იმიტომ, რომ მათ დეკემბერში ააფრიალეს აჯანყების დროშა.

ეს იყო 14 დეკემბერს.

ეს იყო პირველი რევოლუციონური სილა, მეფის გაუმძღარ ყბაზე გაწული...

დეკაბრისტები?

იყვნენ განათლებული, შეგნებული და სინდისიერი ოფიცრები და ჯარისკაცები პეტერბურგის გარნიზონის გვარდიისა.

მათ ვერ გაუძღეს რუსეთის მშრომელი ხალხის მონობის გულხელდაკრებით ყურებას. ისინი იყვნენ მაშინდელი მოწინავე ინტელიგენტები, უმაღლესი წრის ოჯახის შვილები, რომანტიკოსები, „თეთრ ხელთათმანიანები“, როგორც მათ უწოდებდნენ. მაშინ არ იყო რუსეთის მუშათა კლასი შეგნებული, დარაზმული, გლეხობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! დეკაბრისტებმა ვერ შესძლეს მშრომელ ხალხთან კავშირის დაჭერა, ურომლისოდაც ყველა აჯანყება თავიდანვე განწირულია; მათ საამისოდ დროც არ ეყოფოდათ, დადგანაც სწრაფად იქნა მოსპობილი მათი ორგანიზაცია.

მათ მოინდომეს სამხედრო აჯანყებით წესწყობილების შეცვლა, მეფის ჩამოგდება და რესპუბლიკის დამყარება, მაგრამ ეს ვერ შესძლეს, ყველა სამხედრო ნაწილებთან ვერ გააბეს კავშირი, თვით პეტერბურგშიაც-კი, სადაც მხოლოდ ქვეითი ლეგიონები იყო მათ მხარეზე.

— ვერძნობ, რომ ვერ გავიმარჯვებთ, — ამბობდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, პოეტი-მხედარი რილევი, — მაგრამ საქირთა ერთი შენძირება,



რილევი, პესტელი, კახოვსკი, მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევი-რიუმინი.

რევოლუციის ტაქტიკა მოქცეულია ერთ სიტყვაში: გაბედე, და თუ ეს უბედურად გადავდება, ჩვენ ჩვენი უბედურებით სხვებს ვასწავლით გამარჯვებასო. მისი სიტყვები გამართლდა: ისინი დამარცხდნენ, მაგრამ მუშა ხალხმა დაასრულა მათი დაწყებული საქმე.

ეს ამბავი მოხდა მეფე ალექსანდრე პირველის დროს, რომელსაც ჰყავდა მარჯვენა ხელი, პირველი მინისტრი, ჯალათი არაკეფევი.

რევოლუციონური მოძრაობა ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნიდანვე დაიწყო, რომლის მეთაურიც იყო რადიშჩევი, რომელიც პირველ ინტელიგენტ-რევოლუციონერად ითვლებოდა და რომელსაც ძალიან სძულდა როგორც მეფე, ისე ბატონყმობა, რამაც ის უფრო გაარევოლუციონერა; მისმა იდეამ პირველი გამოძახილი ჰპოვა დეკაბრისტებში, განათლებულ ოფიცრობაში, რომელთა უმრავლესობასაც საზღვარგარეთ ჰქონდა დასრულებული სწავლა და ევროპის გავლენის ქვეშ იყო.

1812—15 წ. ომების შემდეგ მეფის მთავრობამ ჩაჰკლა ყოველი თავისუფალი აზრი, სასტიკი ცენზურა იქნა შემოღებული, სარწმუნოება მოახვიეს ყველას სავალდებულოდ. ჯარში უსასტიკესი პირობები და დისციპლინა შემოიღეს, რომელიც სამხედრო კატორღადაც ცნობილი; ამავე დროს გლეხობაც აქა-იქ ახდენდა აპობებებს, ვინაიდან ველარ უძლებდა მთავრობის სისასტიკეს და თავდა-ახნაურ მემამულეთაგანაც ისე იყო შევიწროებული, რომ სულს ძლივს ღაფავდა. მაგრამ ყოველი ცდა აჯანყებისა სისხლში იხრჩობოდა შეუბრალებლად.

მოწინავე ინტელიგენტებმა ფარულ რევოლუციონურ საზოგადოებათა დაარსება 1816 წლიდან იწყეს. ამ საზოგადოებაში ყველაზე ძლიერი იყო „Сюз спасения или истинных и верных сы-

НОВ ОТЕЧЕСТВА“. („კავშირი ხსნისა, ანუ ჭეშმარიტ და ერთგულ მამულიშვილთა“), რომლის დამაარსებლადაც ითვლებიან ძმები მურავიოვები, პავლე პესტელი და თავადი ტრუბეცკოი.

კავშირს მიზნად ჰქონდა დასახული სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ცვლილებანი. ის შექმნევს სხვა სახელით გადაირქვა („Союз благоденствия“), რომელსაც ჰქონდა ოთხი სათათბირო „думы“; მთავარ როლს თამაშობდა ტულჩინის განყოფილება, („სამხედრო საზოგადოება“) პესტელის მეთაურობით, და პეტერბურგის („ჩრდილო საზოგადოება“), რომელსაც მეთაურობდა პოეტი კონდრატი რილევი.

კავშირის წევრებმა გადასწყვიტეს სამხედრო აჯანყების მოხდენა თვითმპყრობელობის შესაზღუდავად. 1824 წ. აპრილში ბესტუჟევი-რიუმინმა, პესტელმა და სხვა წევრებმა გადასწყვიტეს ხელმწიფის მოკვლა, ამბოხების მოხდენა არმიაში და შემდეგ შეტევა მოსკოვზე და კიევიზე, რომელნიც პეტერბურგის შემდეგ დიდ ქალაქებად ითვლებოდნენ.

კავშირის წევრები ზოგნი რესპუბლიკის დაარსებას აპირებდნენ, მაგ. პესტელი, და ზოგნიც კი დამფუძნებელი კრების მოწვევით კმაყოფილდებოდნენ; მაგრამ საერთო მიზანი კი იყო თვითმპყრობელობის და ბატონყმობის მოსპობა.

ამ გაბედულ გმირებს, როგორც მათივე სიტყვებიდან სჩანს, თვითონვე ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ერთი კი უცილობლად სწამდათ— ეს ის, რომ მათი სისხლი უმნიშვნელოდ არ დაიღვრებოდა, მათი პირველი დარტყმა ოდესმე მაინც ჰპოვებდა გამოძახილს და გამოადვილებდა რუსეთის ხალხს. ეს მხოლოდ ასი წლის შემდეგ გამართლდა და ფრთები შეისხა მათმა ოცნებამ.


აჯანყების მოწყობას უფრო აჩქარებდნენ პესტელი (1825 წელს, იანვარში) და რილევი (სანქტ-პეტლის მაისში), მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ გამომოხდნამ დეკაბრისტებს აღრე ააღებინა იარაღი და ააფრიალებინა აჯანყების ბაირაღი.

1825 წელს ალექსანდრე პირველმა ჯარის ერთ-ერთი ნაწილიდან, უნტერ-ოფიცერ (უმცროსი ოფიცერი, ანუ ზემდეგი ქართულად) შერეულისაგან (გვარია) მიიღო საიდუმლო ბარათი, რომლითაც ის აბეზღებდა და აცნობებდა ფარული საზოგადოების არსებობას და მის წევრთა ვინაობას. ამის გარდა გამოჩნდნენ სხვა ჯაშუშებიც, და მთავრობამ მაგრად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და მოკლე ხანში ხელთ იგდო „სამხედრო საზოგადოება“-ს წევრები პესტელიანა, მაგრამ დანარჩენი წევრები ვერ დაიპირეს, რადგანაც იმავე დღეს იფეთქა აჯანყებამ პეტერბურგში, სენატის მოედანზე.

ამ ხანებში მოკვდა ალექსანდრე პირველი და ტახტზე აღიოდა ნიკოლოზ პირველი, რომლისთვისაც ჯარს ერთგულების ფიცი უნდა მიეცა; აი, ეს შემთხვევა გამოიყენეს დეკაბრისტებმა; მათ გადასწყვიტეს, არ მიეცათ ფიცი და ჯარი გარეთ გამოეყვანათ, სენატის მოედანზე ..

მთავრობა უკვე მომზადებულიყო; მან აჯანყებულებს მიუსია ცხენოსანი ჯარი, კავალერია, მაგრამ გვარდიელებმა, აჯანყებულმა ჯარებმა ისინი ბრწყინვალედ მოიგერიეს. მაშინ მიუშვეს მათზე არტილერია, რომელმაც ფინთიხი (კარტეჩი) დააყარა და აჯანყებულთ უკან დაახევინა მდინარე ნევას ყინულებზე, სადაც ქვემეხები (ზარბაზნები) ანადგურებდნენ მათ. აჯანყებულებმა ვეღარ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა და დამარცხდნენ.

ამბოხება ჩაქრობილ იქნა სასტიკი შეუბრა-



სენატის მოედანზე.

ლებლობით, დაპატიმრებულ იქნა აუარებელი ხალხი და თითქმის ყველა ფარული ორგანიზაციები.

1826 წელს კი, 13 ივლისს, აჯანყების მეთაურებს: პავლე პესტელს, კონდრატი რილევს, მიხაილ ბესტუჟევ-რიუმინს, პეტრე კახოვსკის და სერგეი მურავიოვ-აპოსტოლს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა—ჩამოხრჩობა, რაც იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში; ეს უღირს დასჯად ითვლებოდა ძველად სამხედრო პირისათვის, რადგანაც სამხედრო პირი ისჯებოდა ხოლმე დახვრეტით და სამოქალაქო პირი კი ჩამოხრჩობით.

დანარჩენი დეკაბრისტები კი, რომელთა რიგშიც ძალიან ბევრი იყო, სხვადასხვა ვადით, უფრო კი სამუდამოდ, გაგზავნეს კატორღაში, ციხეებში და გადაასახლეს ციმბირში და კავკასიაში.

ბევრი მათგანი ჩარიცხეს კავკასიაში მდგომ ჯარში, რომელიც აქ ომებს აწარმოებდა. მაშინ ხდებოდა თავისუფლების მოყვარულ მთიელებთან ომები, მათი დაპყრობა და ამ გაბედულ გმირებს პირველ რიგებში გზავნიდნენ, რომ სიკვდილს არ გადარჩენოდნენ.

ციმბირის სასტიკმა ყინვებმა, აუტანელმა პირობებმა და კავკასიონის მთებში სიკვდილმა დააღწია, გასწყვიტა ეს თავდადებული ხალხი, რომელთაც

დაიწყეს თავისუფლებისათვის ბრძოლა რუსეთში და თავისი დამარცხებით ჩვენს მუშებს დაგვიტოვეს ასწავლეს გამარჯვება.

გადასახლებული დეკაბრისტები ყველგან სთესვედნენ რევოლუციის თესვს, ყველგან აღვივებდნენ თავისი იდეის ცეცხლს; საქართველოში გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა დიდი გავლენა მოახდინეს მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აზრზე: ისინი დადიოდნენ ქართველთ ოჯახებში, მათ ყველგან პატივისცემით ხვდებოდნენ, ბევრი მიემხრო მათს მიმართულებას, იყვნენ ქართველი დეკაბრისტებიც—როგორც დეკემბრის აჯანყებაში პირდაპირი მონაწილენი, ისე საქართველოშიც—სოლომონ დოდაშვილი (რომელიც ციმბირს გადაასახლეს) და სხვები.


მაშინდელ „ნაროდნიკებზე“ (ხალხოსნებზე) დიდი გავლენა მოახდინეს დეკაბრისტებმა; ბევრი მაშინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი მათ გავლენის ქვეშ მოექცა, (მაგ. პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები.)

ჩვენ, ამ ასი წლის თავზე, მოწიწებით ვიხრით ქედს დეკემბრის გმირთა აჩრდილის წინაშე და ვუგალობთ ინტერნაციონალის ჰიმნს...

ს. ე.

გასასრულები რუსთაშვილის პოეზია

დასამოღებელი ნ. ძიმიტოვის მიერ



Hand-drawn grid with letters: 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

ააგეთ ამ სახის ოთხკუთხედები, გადასეთ აქ ჩამოწერილი ასოები ისე, რომ შუაში მოთავსებული ასო 5 არ გაანძრით. ამ ასოებიდან უნდა მიიღოთ მე-XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში დაბადებული, ბატონყმობის პირველი მამხილებელი მწერლის სახელი და გვარი.

ნინო ძიმიტოვი.

პირველად ყოვლისა უნდა გავაკეთოთ ორი სანიმუშო გამოჭრა ქალაღისაგან. ამ № 1 გამოჭრისათვის გაიხადეთ მარცხენა ფეხი. ფეხს დაადგამთ სკამზე, რომლის ქვეშ გაფენილი არის ქალაღის ფურცელი. მუხლი უნდა მოღუნოთ ისე, რომ გამოხატავდეს სწორ კუთხეს. ამის შემდეგ დაავალეთ ერთ-ერთ ამხანაგს, მოხაზოს ქალაღზე ტერფის მოყვანილობა, მაგრამ ამავე დროს უნდა გახსოვდეს, რომ ფანქრის წვერი უნდა აამოძრაოთ სავსებით სწორედ. ერთი სიტყვით ისე, რომ ფანქრის წვერმა არ მოგვცეს მრუდი ტეხილი-მოხაზულობა. ამ საქმიანობის შემდეგ დაახლოვებით თქვენ მიიღებთ იმ სურათს, რაც გამოჭრილია სურ. № 1-ში. გაზომეთ სანტიმეტრით უდიდესი მანძილი ფეხის ქუსლიდან დიდ თითამდე (სურათზე გამოხატული ხაზებით) და აღნიშნეთ. მიღებულ ნახაზს მიუმატეთ ირგვლივ თითო სანტიმეტრი (ნახ. სურ. № 1) და გამოსჭერით მაკრატლით ქალაღი ამ მიმატებული ფორმით. ეს იქნება პირველი სანიმუშო გამოჭრა.


ახლა გავაკეთოთ მეორე სანიმუშო გამოჭრა. წინასწარ გაზომეთ მანძილი იმავე ფეხის დიდი თითიდან ფეხის საგრძნობად ამაღლებულ ადგილამდის (подъем). დაეშვათ, რომ თქვენ მიიღეთ 7-დი სანტიმეტრი სიგრძე (ნახ. სურ. № 2). აიღეთ გახეთის ფურცელი, დაეცეთ შუაზე, კუთხიდან კუთხეზე AB ხაზის მიმართულებით (ნახ. № 3) კუთხე. A-დან გადავზომოთ მანძილი დიდი თითიდან—ფეხის ამაღლებულ ნაწილამდე და მივუმატოთ ერთი სანტიმეტრი. ჩვენ მაგალითისთვის აღებული გვაქვს 7-დი სანტიმეტრი, მაშასადამე, მთლად უნდა გადავზომოთ 8 სანტიმეტრი და დავსვათ წერტილი D. (სურ. № 4). ამავე წერტილ A-დან (სურ. № 4) გადავზომოთ ტერფის სიგრძე, უდიდესი სიგრძის მანძილით (ნახ. № 1) ჩვენ მაგალითისათვის აღებული გვაქვს 12 სანტიმეტრი; ამ სიგრძეს მიუმატებთ სამ სანტიმეტრს ე. ი.  $12 + 3 = 15$  სანტიმეტრი. დასვით წერტილი C. წერტილი დასმული უნდა იქნეს ისე, რომ მისგან გავატაროთ ხაზი CB (ნახ. 4) ყოველთვის ექვსი და ექვსნახევარი სანტიმეტრით მაღლა, მაშინ ხაზები AC და DB უნდა იქნეს ურთიერთ შორის პარალელური და ავრთვევ BC ხაზი სწორი კუთხით AC ხაზთან. DB ხაზის მიმართულებით გავაკეთოთ არა მაინცადამაინც დიდი სიღრმის ამოჭრა DEB (ნახ. 4). მივსოეთ № 2 სანიმუშო გამოჭრა ADBC (ნახ. 4) გაშლილი სახით ის იმ სახის არის, რაც გამოხატულობა აქვს მე-5-ე სურათზე.

ახლა შევუდგეთ შეკერვას. პირველად ყოვლისა გავამზადოთ ფეხსაცმლის ზედაპირი გამოჭრის დახს...


მელის კერვის დროს არის მთავარი და ერთი უპირველესი საქმეთაგანი. მის სუფთა დამუშავებაზე და გამოხადებაზე დამოკიდებული ფეხსაცმელის სიკარგე და სილამაზე. ჯერ ამოვირჩევთ მასალას ტუფლისთვის. ასეთად შეიძლება გამოგვადგეს ძველი ნახშირი რაიმე საქონელი. უნდა მოვამზადოთ ორი



მატერია — ერთი ზედაპირისთვის — მუქი ფერის — და მეორე სარჩლისთვის; შეიძლება არა ფერადი — რბი-



ლი, როგორც ეს მოუხდება და შეესაბამება თვით ტუფლის მასალას. გადავიტანოთ ან გადავიღოთ თარგი № 2 (ნახ. 4) ამ წინადა არჩეულ მატერიაზე. გამოვჭრათ მისგან 4 თარგი — ორი ზედაპირისთვის და ორი სარჩლისთვის, მაშასადამე, ერთი წყვილი მარჯვენა ფეხის და მეორე წყვილი მარცხენა ფეხისთვის. ავიღოთ 1 თარგი ზედაპირისა და გავკეცოთ ის  $AB +$  ხაზის მიმართულებით (ნახ. 5) ისე, რომ ბოლო-წერტილები 3 და 4 თანასწორად დაედგან ერთი-მეორეს. ის მიიღებს მაშინ იმგვარ სახეს, რომელიც გამოხატულია სურ. № 6. ახლა ნემსით მაგრად მივაკეროთ ბოლო წერტილები 3 და 4  $AB$  ხაზის მიმართულებით ნახ. № 6, დავაშორებთ რა ნაპირებიდან (ქუსლიდან)  $1/2 - 1$  სანტიმეტრამდე. თუ საკერავი მანქანა გვაქვს, რასაკვირველია, მისით სარგებლობა უმჯობესია, რადგანაც ნაკერავი უფრო სუფთა იქნება რა თანაც მუშაობა უფრო ჩქარა შესრულდება. ამგვარადვე უნდა ვიმუშაოთ ოთხჯერ თარგზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზედაპირი სარჩლის გა-



არ გადმოზრუნდება, არამედ მიეკერება პირის მხრიდან. ნაკერავები (AB) გაასწორეთ ორვე მხარეზე და მიეკერეთ მხარე მიაკერეთ ხელახლა (ნახ. № 7). ახლა ჩადევით ნაწილი საპირში ისე, რომ სარჩული მოთავსდეს ზვეითა ნაწილის შიგნით. გაუსწორეთ ნაკერავი ნაპირები (r—B) და გაკერეთ ის ერთად  $1/2 - 1$  სანტ. დაშორებით ნაპირებიდან. ახლა გადმოაბრუნეთ გამზადებული ნაწილი წალმა პირით; კარგად გაასწორეთ ნაპირების (B—r) ხაზის მიმართულებით (ნახ. № 6). გაასწორებთ რა ნაკერავის მხარეებს, მას ხელახლა გავკერავთ ერთხელ კიდევ იმავე ადგილას, მხოლოდ მარცხნიდან. უნდა გავხსოვდეს ნაპირიდან ერთი სანტიმეტრით დავშორება. სიმეგრისთვის კარგი იქნება, თუ თასმით გავკერავთ.

ახლა გავაკეთოთ ბაწრის ლანჩა ამისათვის ავიღოთ თარგი № 1 (ნახ. № 1) დავდოთ ის თხელ მუყაოზე და მისგან გამოვჭრათ ორი საფენი („სტელკა“) და დავაწებოთ მათ ორივე მხრით რაიმე სიმეგრისათვის. ავიღოთ ფანქრის სისხო ბაწარი და მივაკეროთ საფენს, როგორც ეს ნაჩვენებია მე-8-ე ნახაზზე. მიკერებას დავიწყებთ წერტილ A-დან და მივაკერებთ მჭკრივობით ერთის მიმართულებით, როგორც ეს ნაჩვენებია მე-8 სურათზე ისრით. ბაწრის ბოლოს დავცებთ, შუაგულ ნაწილს დავგრებთ და გამოვფისავთ ბაწარს მივამაგრებთ ნემსით და მაგარი უხეში ძაფით. სიმეგრისთვის საჭიროა ნემსის ახლო-ახლო ამობნევა — იმ ნახევრეტებში, რომელიც ჩნდება ბაწარში. ასე, მაგ.: გამოვა თუ არა ნემსი a წერტილიდან, იჭერს ბაწარს და მიდის b წერტილში, შემდეგ b დან r-ში და ამრიგად (ნახ. № 9). ასე ამრიგად საფენი დაიფარება მკვირვ-სქელი ბაწარხლართულით. მეორე ბოლო ბაწარისა საფენის შუა ნაწილიდან საფენის მეორე გვერდზე გადის. ბაწარს ცოტას წააჭრიან, თავს გაუფისავენ და საფენზე მიაწებებენ. ასეთი ძირი, თუ კარგად მომზადებულია, დიდხანს ატარებთ, რბილია, მოქნილია და ის ფეხს არ სჭრის. ასეთი ძირი უნდა დამზადდეს ორი — მარცხენა და მარჯვენა ფეხისთვის. ახლა საჭიროა ზედაპირის მიკერება ძირზე. ამისათვის გამზადებული ზედაპირი გადმოვაბრუნოთ და ისე მივაკეროთ ძირს. ძირის მიკერება უნდა დავიწყებთ ნაპირებიდან. გამზადების შემდეგ ის კვლავ უნდა გადმოვაბრუნოთ ფრთხილად, ისე, რომ ზიანი არ უნდა მივაყენოთ, № 1 თარგზე გამოვჭრათ კიდევ საფენი თხელი მუყაოსგან. ის უნდა იყოს 1-ზე ნაკლები ირგვლივ 1 სანტიმეტრით, ე. ი. ხწნურად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ფეხის სიდიდეს. დააკარით ამ საფენს ერთის მხრივ სარჩულიანი ქსოვილი და ჩადევით ტუფელში. ტუფელი ჩაიცვით ფეხზე და გასინჯეთ. ამასვე გაძეობრებთ მეორე ტუფელზე — მეორე ფეხი-

გამოვა 1926 წ. გამოვა

უძველესი საზოგადოებრივი სასწავლებელი  
— უ უ რ ნ ა ლ ე ბ ი —

მოზრდილთათვის

**წითელი სხივი**

წელიწადი 3

მცირეწლოვანთათვის

**ნაკადული**

წელიწ. 30-XXII

უურნალის ს. ს. ს. რ. შველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ:

„წითელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

„წითელი სხივი“ გაღაგზავნით — 5 მან.  
„ნაკადული“ „ 3 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომ. „წითელი სხივი“ — 45 კაპ.

„ „ „ნაკადული“ — 35 „

მისაგარტი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარაღაქვიო კოლაზია.